პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 37-ე წელი № 295 (10689) | პარასკევი, 21 დეკემბერი, 1956 წ. | ფასი 20 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კომუნისტური პარტიის დაუღალავი ზრუნვა ხალხის კეთილდღეობისათვის

კომუნისტური პარტიის მოღვაწეობის უმაღლესი კანონია დაუცხრომელი ზრუნვა ხალხის კეთილდღეობის ამაღლებისათვის. თავის პოლიტიკაში პარტია განუხრელად ხელმძღვანელობს სოციალიზმის ძირითადი ეკონომიური კანონით, რომლის არსი მკაფიოდ არის განსაზღვრული ვ. ი. ლენინის წინასწარმეტყველურ სიტყვებში: „მხოლოდ სოციალიზმი მოგვცემს შესაძლებლობას ფართოდ გავავრცელოთ და ნამდვილად დავიმორჩილოთ პროდუქტების საზოგადოებრივი წარმოება და განაწილება მეცნიერულ მოსაზრებათა შესაბამისად იმის შესახებ, თუ როგორ გავხადოთ ყველა მშრომელის ცხოვრება ყველაზე უფრო ადვილი, ისეთი, რომელიც მათ მისცემს კეთილდღეობის შესაძლებლობას".

ასრულებს რა კომუნისტური პარტიის შემქმნელისა და საბჭოთა სახელმწიფოს ფუძემდებლის ვ. ი. ლენინის მითითებებს, კომუნისტური პარტია კვლავაც სწრაფი ტემპით ავითარებს მძიმე მრეწველობას. სოციალისტური წარმოების განუწყვეტელი განვითარება და სრულყოფა, სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების ზრდა მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურული დონის ამაღლების საფუძველია.

ხალხის კეთილდღეობისათვის კომუნისტური პარტიის ლენინურმა ზრუნვამ ნათელი გამოხატულება ჰპოვა სკკპ XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებში. მეექვსე ხუთწლედის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა ხალხის ცხოვრების დონის შემდგომი ამაღლება, საბინაო მშენებლობის გაფართოება, კულტურისა და სახალხო განათლების აღმავლობა, ჯანმრთელობის დაცვის გაუმჯობესება, საბჭოთა ვაჭრობის გაფართოება. მეექვსე ხუთწლედში საბჭოთა კავშირის ნაციონალური შემოსავალი, რომელიც ჩვენი ხალხის შეძლებულობის ზრდის წყაროა, გადიდდება დაახლოებით 60 პროცენტით. მუშებისა და მოსამსახურეების რეალური ხელფასი ამავე ხუთწლედში გაიზრდება დაახლოებით 30 პროცენტით, ხოლო კოლმეურნეთა საერთო ფულადი და ნატურალური შემოსავალი — სულ ცოტა 40 პროცენტით.

პარტიის XX ყრილობის წინასწარდასახულობანი ხალხის კეთილდღეობის ამაღლების დარგში, ისევე როგორც სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა დარგში, მთელი სიმტკიცითა და თანმიმდევრობით ხორციელდება. ყრილობის შემდეგ ათ თვესაც არ გაუვლია, მაგრამ რამდენი რამ გაკეთდა ხალხის საკეთილდღეოდ და საბედნიეროდ!

ორი საათით შემცირდა სამუშაო დღე შაბათობით და უქმეების წინა დღეებში, ამასთან შემოკლებული სამუშაო დღე შემოღებულია ისე, რომ არ შემცირებულა მუშათა და მოსამსახურეთა ხელფასი; გაუმჯობესდა ქალთა შრომისა და ყოფაცხოვრების პირობები, კერძოდ მნიშვნელოვნად გაუდიდდათ ხელფასიანი შვებულების ხანგრძლივობა ორსულ ქალებს; ძირეულად გაუმჯობესდა საპენსიო უზრუნველყოფის საქმე. გაუდიდდათ პენსიები იმ პენსიონერებს, რომლებიც მათ მცირე ოდენობით იღებდნენ, აგრეთვე გაძლიერდა ზრუნვა ინვალიდებისა და ღრმა მოხუცებისათვის; 1957 წლის 1 იანვრიდან ხელფასი გაუდიდდებათ დაბალხელფასიან მუშებსა და მოსამსახურეებს.

მშობლიურმა კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ დიდი ღონისძიებანი განახორციელეს ახალგაზრდობის სწავლისა და შრომის პირობების გაუმჯობესებისათვის. 16-18 წლის მოზარდებისათვის დაწესდა 6 საათის სამუშაო დღე, გაუქმდა სწავლის ქირა საშუალო სკოლების უფროს კლასებსა და უმაღლეს სასწავლებლებში.

მეექვსე ხუთწლედის განმავლობაში, დაწყებული 1957 წლიდან, ყველა დარგში განხორციელდება შვიდსაათიან სამუშაო დღეზე გადასვლა.

ყველა ეს ღონისძიება საბჭოთა ადამიანებისათვის კომუნისტური პარტიის ლენინური ზრუნვის ახალი ბრწყინვალე გამოხატულებაა.

მძიმე მრეწველობის აღმავლობისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების გადიდების ბაზაზე განუწყვეტლივ უმჯობესდება მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობა და მაღლდება კულტურული დონე. წარმატებით ხორციელდება სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობის გეგმა, რომელიც პარტიამ შეიმუშავა. ჯერ კიდევ 10 ოქტომბრისათვის გასული წლის ამავე პერიოდთან შედარებით ჩვენი ქვეყნის ბეღლებში ერთნახევარჯერ მეტი ხორბალი იყო ჩაყრილი. მარტო რუსეთის ფედერაციისა და ყაზახეთის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა წელს სამ მილიარდ ფუთზე მეტი პური მისცეს სამშობლოს!

სსრ კავშირის ნაციონალური შემოსავალი 1955 წელს 1913 წელთან შედარებით გადიდდა 17-ჯერ, ხოლო 1960 წელს იგი 27-ჯერ გადააჭარბებს რევოლუციამდელ დონეს. პენსიების, სხვადასხვა დახმარების, უფასო სწავლებისა და სხვა სოციალურ-კულტურული საჭიროებებისათვის სახელმწიფოს მიერ გაწეული ხარჯები მეხუთე ხუთწლედში 689 მილიარდ მანეთს შეადგენდა, ხოლო მეექვსე ხუთწლედში ეს ხარჯები დაახლოებით 970 მილიარდ მანეთს მიაღწევს.

ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები, მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად, თავდადებით მუშაობენ პარტიის XX ყრილობის წინასწარდასახულობათა წარმატებით განხორციელებისათვის, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მძლავრი აღმავლობისათვის, რაც ხალხის მატერიალური კეთილდღეობის განუხრელი ზრდის საფუძველია. თბილისის მრეწველობამ 15 დეკემბრისათვის ვადამდე შეასრულა საერთო პროდუქციის გამოშვების 1956 წლის გეგმა, ჩვენი რესპუბლიკის მეცხოველეებმა გაანაღდეს წლიური დავალება რძის წარმოების დარგში, მოპოვებულია სხვა მთელი რიგი წარმატებანი სამეურნეო და კულტურული მშენებლობის უბნებზე. რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციები ახორციელებენ ღონისძიებებს სამრეწველო საქონლის გამოშვების გასაფართოებლად, ხორცისა და რძის წარმოების გასადიდებლად, საბჭოთა ვაჭრობის გასაუმჯობესებლად, საბინაო მშენებლობის დასაჩქარებლად.

მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესებისა და კულტურული დონის ამაღლების საქმეში მნიშვნელოვანი წარმატებებია მოპოვებული. მაგრამ მშობლიური კომუნისტური პარტია გვასწავლის, რომ არასდროს არ დავჯერდეთ მოპოვებულს, არ მივეცეთ თვითკმაყოფილებას წარმატებების გამო. მშრომელთა ცხოვრების პირობების მნიშვნელოვანი გაუმჯობესების მიუხედავად, ჯერ კიდევ ბევრი რამ უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ მოსახლეობის საარსებო დონე აყვანილ იქნას ისეთ სიმაღლეზე, რომელიც სოციალისტური წყობილების შესაძლებლობათა და საბჭოთა ადამიანების მზარდ მოთხოვნილებათა შესაბამისი იქნება. უნდა აღინიშნოს, რომ პარტიის ბევრი საქალაქო და რაიონული კომიტეტი, პირველადი პარტიული ორგანიზაციები, საბჭოთა და სამეურნეო ხელმძღვანელები სათანადო ბრძოლას არ ეწევიან მშრომელთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის. მთელ რიგ ქალაქებსა და დასახლებულ პუნქტებში მოუქნელად მუშაობენ სავაჭრო ორგანიზაციები, ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებელია საბინაო მშენებლობის ტემპები. ამოცანა ის არის, რომ მძიმე მრეწველობის უპირატეს ზრდაზე დაყრდნობით მივაღწიოთ სოფლის მეურნეობის მკვეთრ აღმავლობას, უფრო სწრაფად წავწიოთ წინ მსუბუქი და კვების მრეწველობა, მოვაწყოთ საბჭოთა კულტურული ვაჭრობა, ყოველი ღონისძიებით დავაჩქაროთ საბინაო მშენებლობა.

ხალხის კეთილდღეობისათვის ზრუნვა იყო და იქნება კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ყურადღების ცენტრში. ამ ზრუნვას ჩვენი ქვეყნის მშრომელები უპასუხებენ თავდადებული შრომის გაჩაღებით ახალ წარმატებათა მოსაპოვებლად კომუნისტური მშენებლობის ყველა უბანზე. პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები მოწოდებული არიან ღრმად განუმარტონ ყველა მშრომელს კომუნისტური პარტიის პოლიტიკა, დარაზმონ მასები სკკპ XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის საბრძოლველად.

დადგა მეექვსე ხუთწლედის პირველი წლის — 1956 წლის უკანასკნელი ათდღიური. ჩვენი სამშობლოს ყოველი კუთხიდან განუწყვეტლივ მოდის სასიხარულო ცნობები ახალ წარმატებებზე, წლიურ საწარმოო დავალებათა ვადამდე შესრულებაზე. კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით საბჭოთა ხალხი აღფრთოვანებით შრომობს 1956 წლის სასახელო მაჩვენებლებით დამთავრებისა და 1957 წელს კიდევ უფრო დიდ გამარჯვებათა მოპოვებისათვის, მეექვსე ხუთწლიანი გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის.

## ამუშავდა ტყიბულჰესის მესამე აგრეგატი

ქუთაისი. (საქდესი). 18 დეკემბერს დილით გამოცდის შემდეგ ამუშავდა ტყიბულჰესის მესამე აგრეგატი. დაიწყო მზადება მეოთხე აგრეგატის გამოცდისათვის.

# ჩვენს დიად სამშობლოში

★ ★

## ახალი წარმატებებისაკენ

სიხარულის დღეებს განიცდიან მოსკოვის ოლქის მშრომელნი. ცნობა, რომ დედაქალაქის ოლქი სოფლის მეურნეობის განვითარებაში მიღწეული წარმატებებისათვის დაჯილდოებულია ლენინის ორდენით, სწრაფად გავრცელდა მის სოფლებში, ქალაქებსა და მუშათა დაბებში. ყველგან იმართება კრებები, საუბრები, შეხვედრები სასოფლო-სამეურნეო წარმოების მოწინავეებთან და ნოვატორებთან. 19 დეკემბერს დედაქალაქის ოლქის კოლმეურნეობების, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების ასობით მოწინავე, ხელმძღვანელი და სპეციალისტი, სამეცნიერო დაწესებულებათა, პარტიული, საბჭოთა და პროფკავშირული ორგანიზაციების წარმომადგენლები შეიკრიბნენ მიტინგზე კრემლის დიდ სასახლეში.

შეკრებილნი მქუხარე, ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარის ამხ. ნ. მ. შვერნიკის, რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხ. მ. პ. ტარასოვის, ვ. ი. ლენინის სახელობის სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა სრულიად საკავშირო აკადემიის პრეზიდენტის ამხ. პ. პ. ლობანოვის, ცნობილი სელექციონერის პროფესორ ა. გ. ლორხის, მოსკოვის ოლქის კოლმეურნეობების, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების წარჩინებული ადამიანების გამოჩენას პრეზიდიუმში.

მიტინგი გახსნა მოსკოვის საოლქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ამხ. ნ. ფ. იგნატოვმა. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მოსკოვის კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ი. ვ. კაპიტონოვმა გამოაქვეყნა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება მოსკოვის ოლქის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

ზედიზედ გამოდიან ტრიბუნაზე სასოფლო-სამეურნეო არტელების, მტს-ების ხელმძღვანელები, პარტიული მუშაკები, რიგითი კოლმეურნეები, ბრიგადირები. მოსკოვის ოლქის მშრომელთა სახელით ისინი გულითად მადლობას უძღვნიან პარტიასა და მთავრობას მათი წარმატებების მაღალი შეფასებისათვის, ლაპარაკობენ ამ დაჯილდოებით გამოწვეულ შრომითს და პოლიტიკურ აღმავლობაზე. ისინი აღნიშნავენ, როგორ მიაღწიეს ოლქის მშრომელებმა ჩვენს ქვეყანაში უმაღლეს მაჩვენებლებს მეცხოველეობის პროდუქტიულობის მხრივ, ლაპარაკობენ სასოფლო-სამეურნეო წარმოების დიდ, ჯერ კიდევ გამოუყენებელ რეზერვებზე და ახალი წლისათვის ნაკისრ ვალდებულებებზე.

ლენინის რაიონის ვლადიმერ ილიასძის სახელობის კოლმეურნეობამ ჩვენს ქვეყანაში პირველი ადგილი დაიკავა წველადობის მხრივ: თვითეულ ძროხაზე აქ უკანასკნელ წელს მიღებულია 5.477 კილოგრამი რძე. ამ კოლმეურნეობის თავმჯდომარემ სოციალისტური შრომის გმირმა ამხ. ი. ა. ბუიანოვმა განაცხადა, რომ კოლმეურნეებმა გადაწყვიტეს აიღონ შეფობა რაიონის ერთ-ერთ ჩამორჩენილ კოლმეურნეობაზე.

ვრცელი სიტყვა, რომელიც არაერთხელ შეაწყვეტინეს ტაშით და მოწონების შეძახილებით, წარმოთქვა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვმა.

მიტინგის მონაწილეებმა მიიღეს მისასალმებელი წერილი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისადმი.

მიტინგის მონაწილეებისათვის გაიმართა კონცერტი. (საქდესი).

## ახალი აპარატი



მოსკოვი. ლითონების ავტოგენური დამუშავების სრულიად საკავშირო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის თანამშრომელთა კოლექტივმა შექმნა სამმავთულიანი აპარატი, რომლითაც ხდება საკისარებისა და მილისების მოლითონება. ეს აპარატი საშუალებას გვაძლევს შევაკეთოთ ფერადი ლითონის გაცვეთილი საკისარები და მილისები, აგრეთვე ფოლადის ახალი მილისების სამუშაო ზედაპირი დავფაროთ ფოლადის თხელი ფენით, რომელშიც შერეულია მცირეოდენი ფერადი ლითონი.

ამ წესის მეოხებით საშუალება გვეძლევა დავზოგოთ ისეთი ძვირფასი ფერადი ლითონები და შენადნობები, როგორიც არის ბაბიტი და ბრინჯაო. სამმავთულიანი აპარატის მეშვეობით მიღებული საფარის გამძლეობა 40-50 პროცენტით უფრო მაღალია ბრინჯაოსთან და ბაბიტთან შედარებით.

ახალი აპარატის გამოყენება შეიძლება ავტოსატრაქტორო, გემთმშენებელ მრეწველობაში და სხვა დარგებში.

• • •

**სურათზე:** სამუშაოთა ხელმძღვანელი ინჟინერი ე. ვ. ანტოშინი (მარცხნივ) და აპარატის კონსტრუქტორი ლ. პ. გუსკოვი არეგულირებენ სამმავთულიან აპარატს.

ფოტო ს. პრეობრაჟენსკისა. (საქდესის ფოტოქრონიკა).

## ესტონეთის ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადა

### 50 ათასი კაცი დაესწრო სპექტაკლებსა და კონცერტებს

დაიწყო მოსკოვში ესტონეთის ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადის მეორე ნახევარი.

დეკადის პირველი ნახევრის განმავლობაში მოძმე ესტონელი ხალხის კულტურას გაეცნო 50 ათასზე მეტი კაცი. მატულობს დეკადის წარმატება. დღითიდღე იზრდება იმათი რიცხვი, ვისაც სურს ნახოს ოპერისა და ბალეტის თეატრ „ესტონეთის", ვ. კინგისეპის სახელობის თეატრისა და თეატრ „ვანემუინეს" სპექტაკლები, გაეცნოს ვაჟთა სახელმწიფო აკადემიურ გუნდს, ესტონეთის რადიოს სიმფონიურ ორკესტრსა და გუნდს, ხალხური ცეკვის თვითმოქმედ ანსამბლს, ხალხური ინსტრუმენტების ორკესტრს და სხვა კოლექტივებს.

დეკადის დღეებში ოპერისა და ბალეტის თეატრმა „ესტონეთმა" მოსკოველებს უჩვენა უკვე ორი ოპერა — ეუგენ კაპის „შურისგების ცეცხლი" და მ. პ. მუსორგსკის „ბორის გოდუნოვი". 19 დეკემბერს თეატრმა უჩვენა ახალი ოპერა — გუსტავ ერნესაქსის „ხელიხელჩაკიდებულნი".

მაყურებლებმა, ხელოვნების ოსტატებმა, თეატრალურმა კრიტიკოსებმა დიდი ინტერესი გამოიჩინეს ამ სპექტაკლისადმი. „ხელიხელჩაკიდებულნი" არის ოპერა თანამედროვე თემაზე, ესტონეთის კოლმეურნეობის ცხოვრებიდან. მაყურებლებმა სპექტაკლი გულთბილად მიიღეს.

19 დეკემბერს ვ. კინგისეპის სახელობის თეატრმა დეკადის განმავლობაში პირველად უჩვენა მსოფლიო დრამატურგიის ერთ-ერთი ურთულესი ნაწარმოები — უ. შექსპირის ტრაგედია „ანტონიუსი და კლეოპატრა".

ეს სპექტაკლი თეატრის უდიდესი მხატვრული მიღწევაა უკანასკნელ წლებში.

ესტონელი პოეტების შემოქმედებას საბჭოთა ლიტერატურაში თვალსაჩინო ადგილი უკავია. მათი ნაწარმოებნი, რომლებიც დაკავშირებულია ხალხის ცხოვრებასთან, ასახავენ მის ფიქრებსა და მისწრაფებებს. ამაზე ლაპარაკობდნენ სსრ კავშირის მწერალთა კავშირში 19 დეკემბერს შემოქმედებითს დისკუსიაზე გამოსულნი. განხილვა გახსნა მარგარიტა ალიგერმა, რომელმაც აღნიშნა, რომ ესტონეთის პოეზია მდიდარ და საინტერესო მასალას იძლევა აზრთა გაზიარებისათვის. განხილვის მონაწილენი ლაპარაკობდნენ, რომ პირველი დეკადის დროიდან განვლილ წლებში ესტონური პოეზია შესამჩნევად გაიზარდა, გამდიდრდა ახალი მნიშვნელოვანი ნაწარმოებებით, ახალი სახელებით.

კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში და კონსერვატორიის მცირე დარბაზში გაიმართა ესტონელი მუსიკოსების კონცერტები. გამოვიდნენ ესტონეთის რადიოს სიმფონიური ორკესტრი რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის დირიჟორ რომან მატსოვის ხელმძღვანელობით და საფორტეპიანო დუეტი — ესტონეთის სსრ დამსახურებული არტისტები ანა კლასი და ბრუნო ლუკი. საზოგადოებამ შემსრულებლები ერთსულოვანი ტაშით დააჯილდოვა. (საქდესი).

## დიპლომებს იღებენ პრაქტიკოსი მექანიზატორები

მოსკოვის სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის ინსტიტუტში სპეციალურ ფაკულტეტზე გაიმართა სადიპლომო პროექტების დაცვა. ინჟინერ-მექანიკოსის დიპლომები მიიღო სოფლის მეურნეობის 97 პრაქტიკოსმა მექანიზატორმა. ინსტიტუტის დანარჩენი სტუდენტებისაგან განსხვავებით სპეცფაკულტეტის კურსდამთავრებულებმა სწავლა გაიარეს შემოკლებული ციკლით — ორ წელიწადში. ამაში მათ დაეხმარა გამოცდილება, რომელიც პრაქტიკულ მუშაობაში შეიძინეს. კურსდამთავრებულთა ორმა მესამედმა დიპლომები ფრიადზე დაიცვა.

ტიუმენის ოლქის სიტნიკის მტს-ის უბნის მექანიკოსი ვ. ტ. პინიაგინი მუშაობდა მტს-ებში სამუშაოთა თვითღირებულების შემცირების საკითხზე. კურსდამთავრებულმა ი. ა. ვოლკოვმა, რომელიც მურმანსკის ოლქის ერთ-ერთ საბჭოთა მეურნეობაში იყო, შეადგინა ორიგინალური პროექტი „საბჭოთა მეურნეობის მეცხოველეობის ფერმა შორეული ჩრდილოეთის პირობებში". მან შეიტანა წინადადება პირუტყვის საკვებად უფრო ფართოდ გამოიყენონ თევზის მრეწველობის ნარჩენები და ირმის ხავსი, რომელიც ჩრდილოეთში იზრდება. ფრიადზე დაიცვა დიპლომი თემაზე „ტრაქტორების შეკეთება მთელი წლის განმავლობაში" ა. ი. გუნინმა, რომელიც სწავლამდე არზამასის ოლქის კოვაქსინის მტს-ის მექანიკოსად მუშაობდა.

სულ ინსტიტუტის სპეცფაკულტეტზე სწავლა დაამთავრა უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში სოფლის მეურნეობის 380 მექანიზატორმა. მიმდინარე წლის დეკემბერში პირველ კურსზე დაიწყო მეცადინეობა კიდევ 52 კაცმა. (საქდესი).

## გორკის ავტომობილმშენებელთა მაგალითისამებრ

ტულა, 17 დეკემბერი. (საქდესი). ტულის მთელ რიგ სამრეწველო საწარმოთა მუშებმა და მოსამსახურეებმა, რომლებიც გამოეხმაურნენ გორკის ავტომობილმშენებელთა ძვირფას თაოსნობას, დაიწყეს საცხოვრებელი სახლების აგება საკუთარი ძალებით. მთავრდება ორი ასეთი შენობის აგება ქალაქის პროლეტარულ რაიონში. მალე იქ შესახლდება ქარხანა „შტამპისა" და კომბაინის ქარხნის 50 ოჯახი. მუშები და მოსამსახურეები თავიანთი ძალებით აშენებენ საცხოვრებელ სახლებს, დაბა შჩეგლოვსკში, „კრასნი პერეკოპში" და სხვ.

ქალაქის ქარხნების, ფაბრიკების, მშენებლობების კოლექტივებმა გადაწყვიტეს 1957 წლის სახელმწიფო გეგმის გადამეტებით ააგონ მომავალ ბინის დამქირავებელთა მონაწილეობით ათობით საცხოვრებელი სახლი, რომელთა საერთო ფართობი 25 ათასი კვადრატული მეტრი იქნება.

მეექვსე ხუთწლედი მოქმედებაში

## გროზნო—თბილისის გაზსადენის ტრასაზე

პარტიის XX ყრილობამ, როგორც ცნობილია, გაითვალისწინა მეექვსე ხუთწლედში გროზნო-თბილისის გაზსადენის მშენებლობის დაწყება. ამ გაზსადენის გაყვანა და თბილისის გაზიფიკაციის განხორციელება უდიდესი მნიშვნელობის საქმეა არა მარტო თბილისის მშრომელთათვის, არამედ მთელი რესპუბლიკისათვის.

ეს გაზსადენი თავისუფლად გაატარებს არა მარტო თბილისისთვის და თავის ტრასის მიმართულებით გაშენებული სხვა ქალაქების, აგრეთვე რაიონული ცენტრებისათვის საჭირო გაზის რაოდენობას, არამედ ბევრად მეტსაც.

ორჯონიკიძიდან თბილისამდე ამ გაზსადენის ტრასი გამოირჩევა თავისი ურთულესი პირობებით. ტრასის წინასწარი გამოკვლევა, რაც მინდობილი ჰქონდა საკავშირო საპროექტო ინსტიტუტის „ჰიდროპროექტის" თბილისის განყოფილებას, შესრულებულ იქნა 1955 წელს სარეკორდოდ მოკლე დროში — თითქმის ერთ თვეში და ისიც ზამთრის მკაცრ ვითარებაში.

წელს კი დაწყებულ იქნა იმავე ტრასის დეტალური გამოკვლევა-შესწავლა, რაც შეასრულა ორმა საგამოკვლევო პარტიამ. პირველი საგამოკვლევო პარტია, რომელსაც ტოპოგრაფი ვ. ბორზოვი ხელმძღვანელობს, მუშაობდა ჯვარის უღელტეხილს გადმოღმა თბილისამდე, ხოლო მეორე პარტია, რომელსაც ტოპოგრაფი ბ. პეტრენკო ხელმძღვანელობს, მუშაობდა ჯვარის უღელტეხილს გადაღმა — ქალაქ ორჯონიკიძის მიმართულებით. ორივე საგამოკვლევო პარტია კარგად იქნა დაკომპლექტებული როგორც ინჟინერ-ტექნიკოსთა და მუშათა კადრებით, ისე ტრანსპორტით და საუკეთესო გეოდეზიური ხელსაწყოებით. რელიეფის სირთულისა და გეოლოგიურ თავისებურებათა გამო გაზსადენის ტრასზე საჭირო გახდა ადგილმდებარეობის არა მარტო დეტალური გეოდეზიური გადაღება, არამედ გეოლოგიურ კვლევათა შესრულებაც.

განსაკუთრებული სირთულის დაძლევა მოუხდათ გამომკვლევ-მაძიებლებს დარიალჰესის მომავალი წყალსაცავის უბანზე გაზსადენის გაყვანის საკითხის გადასაწყვეტად. წყალსაცავის უბანზე გაზსადენის ტრასის მონიშვნისას გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო ორივე ამ ობიექტის მშენებლობის შეხამება.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ გაზსადენის ტრასის დადგენის სიძნელეები ქალაქ ორჯონიკიძიდან თბილისამდე მრავალია. ერთი მხრივ არ შეიძლება დავუშვათ დაპროექტების ტექნიკური ნორმების დარღვევა, ვინაიდან ასეთი დარღვევა გამოიწვევდა ტექნიკური უსაშიშროების წესების დარღვევას, ხოლო მეორე მხრივ საქართველოს სამხედრო გზატკეცილის მიდამოებში რელიეფის ისეთი პირობებია, რომ შეუძლებელი ხდება არ შევურიგდეთ დაპროექტების არსებული ნორმებიდან ზოგ გადახვევას, განსაკუთრებით მდინარეების თერგისა და არაგვის ვიწრო ხეობაში.

ყველა ასეთი ძნელი საკითხის გადასაჭრელად საჭირო გახდა გაზსადენის დამპროექტებელი ორგანიზაციის წარმომადგენლის (ორჯონიკიძე — თბილისის გაზსადენის დაპროექტება უკრაინის სახელმწიფო გაზსადენთა დამპროექტებელ ორგანიზაციას „უკრგიპროგაზს" აქვს მინდობილი) მოწვევა.

ახლა ასეთი მდგომარეობაა:

გაზსადენის დასაპროექტებლად საჭირო საველე-კვლევითი სამუშაოები დამთავრებულია, დაწყებულია ამ მასალების ე. წ. კამერალური დამუშავება. ჰიდროელექტროსადგურთა დაპროექტების სრულიად საკავშირო საპროექტო ინსტიტუტის თბილისის განყოფილების გამომკვლევ სპეციალისტთა კოლექტივი თავდადებით იბრძვის იმისათვის, რომ მინდობილი სამუშაო დანიშნულ ვადაზე დაამთავროს, დამპროექტებელ ორგანიზაციას საშუალება მისცეს შეუფერხებლად იმუშაოს თბილისში გაზსადენის პროექტის დროულად გამზადებისათვის.



გაზსადენის ტრასზე. ტოპოგრაფების ჯგუფი არაგვის ხეობაში მუშაობის დროს.

მაგრამ, სამწუხაროდ, როცა დიდი მოცულობის სამუშაო—ტრასის საველე გამოკვლევა თითქმის უკვე დამთავრებულია, ამავე დროს თვითონ ქალაქში გაზგანმანაწილებელი ქსელის დაგეგმარებისთვის თითქმის არაფერი კეთდება, თუმცა გასაკეთებელი ბევრი რამ არის. თბილისის გაზიფიკაციისათვის სათანადო პროექტის შედგენა რთული, მეტად შრომატევადი სამუშაოა და დიდ დროს მოითხოვს. საჭიროა სათანადო კადრების მომზადება, საპროექტო ორგანიზაციის ჩამოყალიბება, წინასწარი და დეტალური კვლევის შესრულება ქალაქის ფარგლებში.

იმისათვის, რომ თბილისის მშრომელებს მალე მივაწოდოთ გაზი, საჭიროა დაჩქარდეს მუშაობა ქალაქში გაზგანმანაწილებელი ქსელის დასაპროექტებლად, თორემ შეიქმნება ისეთი მდგომარეობა, რომ გაზი თბილისამდე მოაღწევს, ხოლო მისი გამოყენების საშუალებას მოსახლეობა მოკლებული იქნება.

თ. გეგელია,
ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი.

# კომუნისტური პარტია იმარჯვებს ლენინიზმისადმი ერთგულებით

საბჭოთა ადამიანები არიან მოქალაქენი მსოფლიოში პირველი თავისუფალი და ძლიერი სოციალისტური სახელმწიფოსი, სადაც არ არიან კაპიტალისტები და მემამულეები, არ არის ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია, სადაც დიდი ხანია მოსპობილია ეროვნული უთანასწორობა, სახელმწიფოსი, რომელშიც საბჭოთა დემოკრატიამ ადამიანის ნიჭისა და ტალანტის გამოვლინებისათვის უსაზღვრო სარბიელი შექმნა.

განხორციელდა დიდი ლენინის წინასწარმეტყველური სიტყვები, რომელიც ჯერ კიდევ საბჭოთა სახელმწიფოს ქმნადობის გარიჟრაჟზე ამბობდა: „ჩვენს შვილიშვილებს უცნაურ რამედ მოეჩვენებათ კაპიტალისტური წყობილების ეპოქის დოკუმენტები და ძეგლები. ისინი ძლივს წარმოიდგენენ, თუ როგორ შეიძლებოდა კერძო პირის ხელში ყოფილიყო პირველი საჭიროების საგნების ვაჭრობა, როგორ შეიძლებოდა ფაბრიკები და ქარხნები ცალკეულ პირებს ჰქონოდათ საკუთრებად, როგორ შეეძლო ერთ კაცს მეორის ექსპლოატირება, როგორ შეიძლებოდა არსებულიყვნენ ადამიანები, რომლებიც არ შრომობდნენ. დღემდე, როგორც ზღაპარზე, ლაპარაკობდნენ იმის შესახებ, რასაც ჩვენი ბავშვები იხილავენ, მაგრამ ახლა, ამხანაგებო, თქვენ ნათლად ხედავთ, რომ სოციალისტური საზოგადოების შენობა, რომელსაც ჩვენ ჩავუყარეთ საძირკველი — უტოპია როდია. კიდევ უფრო გულმოდგინედ შეუდგებიან ამ შენობის აგებას ჩვენი შვილები". (თხზ., ტ. 29, გვ. 381).

ჩვენი ქვეყნის მშრომელებმა რევოლუციური ბრძოლის მძიმე განსაცდელთა დიდი სკოლა გაიარეს და ხალხებს გაუკაფეს სოციალიზმის გზა. ჩვენ გავიმარჯვეთ, რადგან სოციალისტურ რევოლუციაში მუშათა კლასის ბელადი და ორგანიზატორი, ახალი საზოგადოების აშენებისათვის ბრძოლაში საბჭოთა ხალხის ბელადი და ორგანიზატორი იყო ჩვენი სახელოვანი კომუნისტური პარტია, მარქსიზმ-ლენინიზმის უკვდავი იდეებით შეიარაღებული.

რევოლუციური ბრძოლის მთელი ისტორიის მანძილზე მუშათა კლასის წრიდან გამოდიოდნენ და გამოდიან შესანიშნავი რევოლუციონერები, წინამძღოლი — ორგანიზატორები, ხალხის საქმის ერთგულნი, ხალხთან მჭიდროდ დაკავშირებულნი. ერთ-ერთი ასეთი თვალსაჩინო რევოლუციონერი იყო ი. ბ. სტალინი — კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გენიალური დამაარსებლის ვ. ი. ლენინის გამოჩენილი მოწაფე.

ი. ბ. სტალინი დაიბადა 1879 წლის 21 დეკემბერს ქალაქ გორში. გასული საუკუნის დამლევს მარქსიზმის იდეებმა შემოაღწია ამიერკავკასიის მუშათა კლასის მასებში. თბილისსა და სხვა ქალაქებში შეიქმნა მარქსისტული წრეები, ვრცელდებოდა არალეგალური ლიტერატურა. ჭაბუკობის წლებში სტალინი უკავშირდება არალეგალურ მარქსისტულ ჯგუფებს, ებმება რევოლუციურ მოძრაობაში, პროპაგანდისტულ მუშაობას ეწევა თბილისის რკინიგზის სახელოსნოების მუშებში. მარქსიზმის პროპაგანდისათვის მას თბილისის სასულიერო სემინარიიდან რიცხავენ, რის შემდეგაც იგი არალეგალურ მუშაობას ეწევა, მტკიცედ უკავშირებს თავის შემდგომ ბედს მუშათა კლასის რევოლუციურ მოძრაობას.

ი. ბ. სტალინის, როგორც რევოლუციონერისა და თეორეტიკოსი მარქსისტის ჩამოყალიბებაზე უდიდესი გავლენა მოახდინა ვ. ი. ლენინმა. სტალინი სწავლობს ლენინის ნაწარმოებებს, ხარბად ეწაფება ლენინურ იდეებს, ხდება განათლებული მარქსისტი, სხვა ისკრელ-ლენინელებთან ერთად დიდ მუშაობას ეწევა არალეგალური სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების შესაქმნელად და დასარაზმავად თბილისში, ბათუმში, ქუთაისში, ჭიათურაში. მუშებში რევოლუციური საქმიანობის, არალეგალური მარქსისტული პრესის შექმნაში მონაწილეობის გამო სტალინს სდევნის მეფის თვითმპყრობელობა, მას არაერთხელ აპატიმრებენ და ასახლებენ.

ამიერკავკასიაში მუშათა მოძრაობისათვის დიდ საფრთხეს წარმოადგენდნენ მენშევიკები და ანარქისტები, რომელთა წინააღმდეგ აქტიურად იბრძოდა ი. ბ. სტალინი, იცავდა რა ქართულ მარქსისტულ პრესაში ბოლშევიკურ ხაზს რევოლუციაში.

ეწეოდა რა რევოლუციურ ბრძოლას მრავალეროვანი ამიერკავკასიის პირობებში, სტალინმა ღრმად შეისწავლა ეროვნული საკითხი. ლენინი დიდად აფასებდა სტალინის ამ ცოდნას. თავის გამოსვლაში პარტიის XI ყრილობაზე ლენინმა ფრიად დადებითი შეფასება მისცა სტალინს, მიაჩნდა რა იგი ყველაზე უფრო შესაფერის და ავტორიტეტიან ადამიანად ეროვნების საქმეთა სახალხო კომისრის პოსტზე.

1917 წელს, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მომზადებისა და განხორციელების პერიოდში, ცენტრალურმა კომიტეტმა სტალინი აჯანყების ხელმძღვანელი ორგანოების — სამხედრო-რევოლუციური კომიტეტისა და პარტიული ცენტრის წევრად აირჩია. სამოქალაქო ომისა და იმპერიალისტური ინტერვენციის მძიმე წლებში იგი რესპუბლიკის რევოლუციური სამხედრო საბჭოს წევრი იყო და მთელ რიგ ფრონტებზე ასრულებდა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და პირადად ვ. ი. ლენინის დიდმნიშვნელოვან დავალებებს.

ინტერვენტების განადგურებისა და სამოქალაქო ომის დამთავრების შემდეგ ჩვენი ქვეყნის წინაშე დაისახა ახალგაზრდა საბჭოთა სახელმწიფოს განმტკიცებისა და დანგრეული სახალხო მეურნეობის აღდგენის ძნელი ამოცანები. პარტიისათვის ამ პასუხსაგებ მომენტში, როცა ჯერ კიდევ არ იყო დათრგუნვილი ექსპლოატატორული კლასების წინააღმდეგობა, ტროცკისტებმა, ანარქისტულ-სინდიკალისტურმა ელემენტებმა, რომლებიც „მემარცხენე" ლოზუნგებით ინიღბებოდნენ, თავს მოახვიეს პარტიას დისკუსია პროფკავშირების შესახებ, წამოაყენეს მოთხოვნა, რომ ფაბრიკა-ქარხნების გამგებლობა ჩამორთმეოდა სოციალისტურ სახელმწიფოს და მათი მართვა გადასცემოდათ მწარმოებელთა ცალკეულ ჯგუფებს. ოპოზიციის ხაზი მიმართული იყო იმისაკენ, რომ მოსპობილიყო პროლეტარიატის დიქტატურა, ეს ხაზი მუშათა კლასის ძირეული ინტერესებისადმი მტრული იყო. პარტიამ დაგმო ოპოზიციის პლატფორმა, როგორც ანარქისტულ-სინდიკალისტური, როგორც ანტიმარქსისტული. პარტიისათვის ამ ძნელ პერიოდში — მწვავე შინაპარტიული ბრძოლის პერიოდში ი. ბ. სტალინი მტკიცედ იდგა ლენინურ პოზიციებზე.

ვ. ი. ლენინმა შეიმუშავა სოციალიზმის მშენებლობის, ეკონომიურად ჩამორჩენილი რუსეთის მოწინავე, მძლავრ ინდუსტრიულ სოციალისტურ სახელმწიფოდ გადაქცევის მეცნიერულად დასაბუთებული პროგრამა. ხელმძღვანელობდა რა ლენინური იდეებით, კომუნისტურმა პარტიამ აამოძრავა და დარაზმა ხალხის მრავალმილიონიანი მასები გიგანტური შემოქმედებითი მუშაობისათვის სოციალიზმის ასაშენებლად.

ლენინის სიკვდილის შემდეგ ტროცკისტებმა, მემარჯვენე ოპორტუნისტებმა, ბურჟუაზიულმა ნაციონალისტებმა გააფთრებული ბრძოლა დაიწყეს სოციალიზმის აშენების ლენინური გეგმის წინააღმდეგ. ისინი ცდილობდნენ ძირი გამოეთხარათ პარტიის ერთიანობისათვის, დაეთესათ ურწმუნობა სოციალისტური ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის მეურნეობის კოოპერირების საქმისადმი, ცდილობდნენ, რომ პარტია და ქვეყანა ასცდენოდნენ ლენინურ გზას, ცდილობდნენ მოესპოთ პროლეტარული რევოლუციის მონაპოვრები, აღედგინათ კაპიტალიზმი. პარტიამ გამანადგურებელი წინააღმდეგობა გაუწია ყველა ამ ოპოზიციონერს. ტროცკისტების, მემარჯვენე უკლონისტებისა და ბურჟუაზიული ნაციონალისტების წინააღმდეგ ბრძოლაში სტალინს დიდი დამსახურება მიუძღვის.

ი. ბ. სტალინის ბევრმა თეორიულმა შრომამ, ისეთმა შრომებმა, როგორიც არის „ლენინიზმის საფუძვლების შესახებ", „ლენინიზმის საკითხებისათვის", „ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და საკავშირო კომუნისტურ პარტიაში (ბ) მემარჯვენე გადახრის შესახებ" და სხვ., დიდი როლი შეასრულეს ლენინიზმის დაცვაში.

წინ მიდიოდა რა ლენინის გზით, საბჭოთა კავშირი მძლავრი მსოფლიო სოციალისტური სახელმწიფო, მძლავრი ინდუსტრიის, მოწინავე სოფლის მეურნეობის, მოწინავე კულტურისა და სოციალისტური დემოკრატიის ქვეყანა გახდა.

კომუნისტური მშენებლობის მსოფლიო-ისტორიული გამარჯვებანი ჩვენს ქვეყანაში მიღწეულია გმირი მუშათა კლასის, სახელოვანი კოლმეურნე გლეხობის, შესანიშნავი საბჭოთა ინტელიგენციის თავდადებული შრომის მეოხებით. სსრ კავშირში სოციალიზმის მშენებლობის დიდ წარმატებათა ვითარებაში, დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის ისტორიულ გამარჯვებათა ვითარებაში გაიზარდა სტალინის პოპულარობა და ავტორიტეტი. მაგრამ კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით მიღწეული ეს წარმატებანი თანდათან დაუკავშირეს მხოლოდ სტალინის სახელს. ამით იქმნებოდა ი. ბ. სტალინის პიროვნების კულტი.

ლენინის სიკვდილის შემდეგ პირველ წლებში, იყო რა პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სტალინი მტკიცედ იცავდა პარტიული ცხოვრების ლენინურ ნორმებს, ახორციელებდა ხელმძღვანელობის კოლექტიურობას. უფრო გვიან, განსაკუთრებით თავისი სიცოცხლის უკანასკნელ წლებში, იგი აღარ ეკიდებოდა კრიტიკულად თავის მოქმედებასა და გადაწყვეტილებებს. შინაპარტიული და საბჭოთა დემოკრატიის ზოგიერთი შეზღუდვა, რაც აუცილებელი იყო კლასობრივი მტრისა და მისი აგენტურის წინააღმდეგ სასტიკი ბრძოლის პირობებში, ხოლო უფრო გვიან გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლის პირობებში, სტალინმა თანდათან გადააქცია შინაპარტიული და სახელმწიფოებრივი ცხოვრების ნორმად. პრაქტიკულ საქმიანობაში ამან გამოიწვია სერიოზული შედეგები: უხეშად ითელებოდა პარტიული ცხოვრების ლენინური ნორმები და ხელმძღვანელობის პრინციპები, სოციალისტური კანონიერება, მთელი რიგი დიდმნიშვნელოვანი საკითხები კონკრეტული ვითარების გაუთვალისწინებლად წყდებოდა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობამ დაგმო პიროვნების კულტი და განმარტა მისი ანტიმარქსისტული არსი. აფასებდა რა ი. ბ. სტალინის დამსახურებას ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური რევოლუციის მომზადებისა და განხორციელების პერიოდში, სამოქალაქო ომისა და სოციალიზმის აშენებისათვის ბრძოლის წლებში, პარტიას არ შეეძლო ამავე დროს გვერდი აევლო იმ სერიოზული შეცდომებისათვის, რომლებიც სტალინმა დაუშვა. პარტია ითვალისწინებდა, რომ თუ სტალინის პიროვნების კულტის წინააღმდეგ გამოსვლა ერთგვარ სიძნელეებს გამოიწვევდა, პერსპექტივაში, ხალხის ინტერესების თვალსაზრისით ეს გამოსვლა უდიდეს დადებით შედეგს მოგვცემს. საკუთარი შეცდომების ასეთი გაბედული, პირდაპირი კრიტიკა მოწმობს პარტიის ურყევ ძალას, მის უსაზღვრო რწმენას ხალხის შემოქმედებითი ძალებისადმი, ხალხის მხარდაჭერისადმი, მარქსიზმ-ლენინიზმის იდეათა უძლეველობას.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებანი მარქსიზმ-ლენინიზმის შემდგომი შემოქმედებითი განვითარებაა. ყრილობამ პარტია და საბჭოთა ხალხი აღჭურვა თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობის მარქსისტული ანალიზით, მსოფლიო განვითარების პერსპექტივების სწორი გაგებით, ხელი შეუწყო სსრ კავშირის საერთაშორისო პრესტიჟისა და ავტორიტეტის ზრდას.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებანი, საბჭოთა მთავრობის საშინაო და საგარეო პოლიტიკა შეშფოთებასა და გაბოროტებას იწვევს სოციალიზმის მტრების ბანაკში. იმისათვის, რომ ჩამოაშორონ მშრომელთა ყურადღება XX ყრილობის გადაწყვეტილებებს, ისტორიულ ამოცანებს, რომლებიც ამ ყრილობამ დასახა, ჩვენი მტრები პიროვნების კულტის კრიტიკას იყენებენ საბჭოთა კავშირის, სახალხო დემოკრატიის ქვეყნების წინააღმდეგ ცილისმწამებლური მიზნით. „სტალინიზმის" კრიტიკის სახით ისინი ცდილობენ სახელი გაუტეხონ საბჭოთა სოციალისტური წყობილების დიად მონაპოვრებს, შეარყიონ მშრომელთა რწმენა ლენინიზმის უკვდავი იდეებისადმი. ისინი ცდილობენ დაამტკიცონ, თითქოს სტალინის პიროვნების კულტი წარმოეშვას თვით საბჭოთა სისტემას და არა იმ გარკვეულ ისტორიულ პირობებს, რომლებიც უკვე წარსულს ჩაბარდა. ასეთ ცილისმწამებლურ მტკიცებას აბათილებს საბჭოთა სახელმწიფოს განვითარების მთელი ისტორია.

საერთაშორისო რეაქციისა და მისი ლაქუცების ფანდები ზედიზედ იფუშება. პიროვნების კულტმა ვერ შეცვალა და ვერც შეცვლიდა ჩვენი წყობილების სოციალისტურ ბუნებას, ვერ შეაფერხებდა კომუნისტური მშენებლობის ძლევამოსილ სვლას. საბჭოთა ხალხი — სოციალიზმის მშენებლობის გადამწყვეტი ძალა — თავის ისტორიულ საქმეს ქმნიდა იმ დაბრკოლებათა მიუხედავად, რომლებიც ჩნდებოდა მის გზაზე პიროვნების კულტის გავლენის შედეგად.

ჩვენი სამშობლო, რომელმაც პირველმა გაკაფა სოციალიზმის გზა, შეიძინა კომუნისტური მშენებლობის უდიდესი გამოცდილება, ახლა აღსავსეა თავისი შემოქმედებითი ძალებით. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებით შეიარაღებული, კომუნისტური პარტიის გარშემო მჭიდროდ დარაზმული საბჭოთა ხალხი მტკიცედ და რწმენით მიდის წინ. საბჭოთა კავშირთან მჭიდრო ერთიანობით, ლენინიზმის დიადი დროშით აშენებენ ახალ ცხოვრებას დიდი სახალხო ჩინეთი, სახალხო დემოკრატიის ქვეყნები.

მსოფლიო განვითარების მთელი მსვლელობა მოწმობს მარქსიზმ-ლენინიზმის უკვდავი იდეების უძლეველობას. ისტორია ჩვენს სასარგებლოდ, მშვიდობისა და სოციალიზმის საქმის სასარგებლოდ მუშაობს.



ი. ბ. სტალინი

## სახელმწიფო ტვირთზიდვაში დაწინაურებული კოლექტივი

ამიერკავკასიის რკინიგზის ტრანსპორტზე სახელმწიფო ტვირთზიდვის წლიური დავალებისათვის ბრძოლაში თავი ისახელა თბილისის საელექტრომავლო დეპოს კოლექტივმა, რომელმაც დატვირთვის წლიური დავალება ვადაზე ერთი თვით ადრე — 1 დეკემბრისათვის 102 პროცენტით შეასრულა.

11 თვეში თბილისელმა მძიმეწონოსანმა მეელმავლეებმა გადაიყვანეს მრავალი ასი მძიმე წონის მატარებელი და სახელმწიფოს 368 ათასი მანეთი ზეგეგმითი ეკონომია მისცეს, ხოლო გადაზიდვის თვითღირებულება 1,2 პროცენტის გადამეტებით შეამცირეს.

მძიმეწონოსან მეელმავლეთა შორის შეჯიბრებაში ჯერჯერობით პირველობა აქვს ს. გოგოლაძეს, რომელმაც ნორმის გადამეტებით გადაზიდა 3.430 ტონა სახელმწიფო ტვირთები.

## კოლმეურნეობათა ურთიერთდამხმარე სალაროები

ოჩამჩირის რაიონის მრავალ კოლმეურნეობაში შექმნილია ურთიერთდამხმარე სალაროები. ისინი დიდ დახმარებას უწევენ შრომისუნარმოკლებულ მოხუც კოლმეურნეებს, აძლევენ კოლმეურნეებს სესხებს ახალი სახლების ასაგებად და სხვა საჭიროებისათვის. სოფელ ქოჩარის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის ურთიერთდამხმარე სალარომ მიმდინარე წელს 100 ათასი მანეთი გასცა. შრომისუნარმოკლებულმა კოლმეურნეებმა, სამამულო ომისა და შრომის ინვალიდებმა დახმარება მიიღეს. სოფელ ათარის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის ურთიერთდამხმარე სალარომ, რომელიც წელს დაარსდა, სესხისა და დახმარების სახით 120 ათასი მანეთი გასცა. კოლმეურნე ი. დოგუამ, რომელსაც სახლი დაეწვა, 4 წლის ვადით მიიღო 5 ათასი მანეთი სესხი.

მნიშვნელოვანი თანხები გასცეს აგრეთვე სოფელ მეორე ათარის, ლაბრის, არაგიჩის და სხვა კოლმეურნეობათა ურთიერთდამხმარე სალაროებმა.

### რაიონულ პარტიულ კონფერენციებზე

## მაღალმთიანი რაიონის ეკონომიკისა და კულტურის აღმავლობისათვის

თიანეთის რაიონის პარტიული ორგანიზაციები, კომუნისტები, ყველა მშრომელი ნაყოფიერ მუშაობას ეწევიან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა პრაქტიკულად განხორციელებისათვის. აი ამ მუშაობის პირველი შედეგები: გადაჭარბებით არის შესრულებული მსხვილფეხა რქიანი საქონლისა და მეცხვარეობის სულადობის ზრდის გეგმები. საშუალოდ ერთ ძროხაზე მიღებულია 740 კილოგრამი რძე ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 700 კილოგრამისა. მნიშვნელოვნად გაიზარდა მატყლის გამოსავლიანობაც.

რაიონულმა პარტიულმა კონფერენციამ შეაჯამა რაიონის ეკონომიკისა და კულტურის აღმავლობისათვის გაჩაღებული ბრძოლის შედეგები, მოურიდებლად გამოააშკარავა მუშაობაში არსებული ნაკლოვანებები და კომუნისტებისა და ყველა მშრომელის ყურადღება გაამახვილა მათ წინაშე მდგომ გადაუდებელ ამოცანებზე.

მომხსენებელმა — რაიკომის პირველმა მდივანმა დ. გონჯილაშვილმა და კამათის მონაწილე დელეგატებმა აღნიშნეს, რომ წარსულში დაშვებული უხეში შეცდომების შედეგად თიანეთის რაიონი დღემდე რჩება ეკონომიურად ჩამორჩენილ რაიონად. რა ღონისძიებათა განხორციელებაა საჭირო ამ ჩამორჩენის დასაძლევად? სწორედ ამ კითხვის გაშუქებას მიუძღვნეს თავიანთი გამოსვლები კონფერენციის დელეგატებმა — კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებმა შ. ჭაფოძემ, შ. სისაურმა და პ. ხიდაშელმა. რაიონის ეკონომიკაში წამყვანი ადგილი ეკუთვნის მეცხოველეობას, კერძოდ მეცხვარეობას. მაგრამ მეცხოველეობის განვითარებას დიდად აფერხებს ის, რომ ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა საკვების წარმოებას, ახალი საძოვრების გამონახვასა და არსებული საძოვრების გაუმჯობესებას. მიუხედავად ასეთი მდგომარეობისა, რაიონის პარტიული და საბჭოთა ორგანოები, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო სათანადო ზომებს არ იღებენ საკვების დარგში არსებულ სერიოზულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის.

თავის გამოსვლაში რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ზ. მათურელმა გააკრიტიკა მთელ რიგ კოლმეურნეობათა გამგეობები და პირველადი პარტიული ორგანიზაციები იმისათვის, რომ მათ ვერ უზრუნველყვეს გასულ სამეურნეო წელს მეცხოველეობაში მოპოვებულ წარმატებათა შენარჩუნება და განმტკიცება, რის შედეგადაც საგრძნობლად შემცირდა წველადობა. მაგალითად, ოქტომბერსა და ნოემბერში სექტემბერთან შედარებით წველადობა დაახლოებით 50 პროცენტით შემცირდა. ეს იმიტომ მოხდა, რომ მეწველი პირუტყვის ბაგურ კვებაზე გადაყვანის შემდეგ მნიშვნელოვნად გაუარესდა ძროხების კვება და მოვლა-პატრონობა.

თიანეთის რაიონის სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის მეცხოველეობასთან ერთად დიდი მნიშვნელობა აქვს მიწათმოქმედების კულტურის ამაღლებას. კონფერენციის დელეგატი — თიანეთის მტს-ის დირექტორი გ. მჟავანაძე თავის სიტყვაში შეეხო ამ საკითხს და საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროსაგან მოითხოვა სატრაქტორო პარკის გაფართოება და თიანეთში იარაღ-მანქანების სარემონტო სახელოსნოს მოწყობა. ტრაქტორების ნაკლებობის გამო მტს-ი ვერ ასრულებს სათოხნი კულტურების კვადრატულ-ბუდობრივად და მწკრივად თესვის, ნათესების კულტივაციის გეგმებს. ყოველივე ამის გამო ბევრ კოლმეურნეობაში სასოფლო-სამეურნეო კულტურების ძალიან დაბალ მოსავალს იღებენ.

მომხსენებელმა და კამათის მონაწილე დელეგატებმა ილაპარაკეს აგრეთვე სატყეო მეურნეობის განვითარებისა და სიონის წყალსაცავის მშენებლობის დაჩქარების საკითხებზე. ამ საკითხების წარმატებით გადაწყვეტა დიდად შეუწყობს ხელს რაიონის ეკონომიკის აღმავლობას.

სატყეო მეურნეობის დირექტორმა გ. გიორგაძემ აღნიშნა, რომ საჭიროა შემდგომ გაუმჯობესდეს ტყეების დაცვა და მოვლა, გონივრულად მოხდეს ტყის მასივების ექსპლოატაცია და რესპუბლიკის საჭიროებისათვის გამოყენება.

— სიონის წყალსაცავი მეექვსე ხუთწლედის ერთ-ერთი მსხვილი მშენებლობაა, — თქვა სიონმშენის სამმართველოს უფროსმა გ. მაევსკიმ, — რომლის დამთავრება და საექსპლოატაციოდ გადაცემა 1959 წლისათვის არის გათვალისწინებული. წყალსაცავი გამოყენებული იქნება 56 ათასი ჰექტარი მიწის მოსარწყავად და სამგორის ჰიდროელექტროსადგურების სიმძლავრის რიონჰესის სიმძლავრემდე გასადიდებლად. ასეთი დიდი მნიშვნელობის მიუხედავად, პარტიის რაიონული კომიტეტი და მისი განყოფილებები ჯერ კიდევ სათანადო ყურადღებას არ აქცევენ სიონის წყალსაცავის მშენებლობას, სუსტად იბრძვიან მშენებელ მუშათა შორის პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის გაძლიერებისათვის.

მშენებელთა სახელით ამხ. მაევსკიმ სიტყვა მისცა კონფერენციას, რომ ვადამდე იქნება შესრულებული 1956 წლის საწარმოო დავალება, ხოლო მომავალი 1957 წლიდან ორჯერ გადიდდება სამშენებლო სამუშაოთა ფრონტი.

კონფერენციის მონაწილეებმა ნაკლები ყურადღება დაუთმეს იდეოლოგიური მუშაობის საკითხებს. ამის შესახებ ძალიან ცოტა ითქვა საანგარიშო მოხსენებაში, რომელშიც გაკვრით აღინიშნა, თუ რამდენი კომუნისტია „ჩაბმული" პოლიტიკურ სწავლებაში, რამდენი ლექცია და პოლიტიკური მოხსენება მოეწყო. სამწუხაროდ, საანგარიშო მოხსენების ეს ნაკლი კამათის მონაწილეებმაც ვერ შეავსეს.

იდეოლოგიური მუშაობის შესუსტების პირდაპირი შედეგია ის, რომ ახალგაზრდობის ერთი ნაწილი აქტიურად არ მონაწილეობს საკოლმეურნეო შრომაში, არის ხულიგნობისა და ამორალური ქცევის შემთხვევები. ბევრ პარტიულ ორგანიზაციაში პოლიტიკური განათლება კვლავ მოწყვეტილია ცხოვრებას, რაც ცუდ გავლენას ახდენს ეკონომიკის განვითარებაზე. სოფლის ინტელიგენციაში სუსტად არის გაშლილი პოლიტიკური მუშაობა.

პარტიული ორგანიზაციების და, უწინარეს ყოვლისა, ახლად არჩეული რაიონული კომიტეტის გადაუდებელი ამოცანაა ყოველი ღონისძიებით უზრუნველყოს იდეოლოგიური მუშაობის გაუმჯობესება, ახალგაზრდობის კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდა.

სიტყვებით გამოსულმა დელეგატებმა მწვავედ გააკრიტიკეს რაიონის პროკურატურა, მილიციისა და სახალხო სასამართლოს ორგანოები საზოგადოებრივი საკუთრების დამტაცებელთა და გამნიავებელთა წინააღმდეგ სუსტად ბრძოლისათვის.

კონფერენციის მონაწილეებმა დიდი ყურადღებით მოისმინეს საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხ. ვ. პ. მჟავანაძის გამოსვლა. ამხ. მჟავანაძემ ილაპარაკა იმ ღონისძიებებზე, რომლებსაც პარტია და მთავრობა ახორციელებენ მთიანი რაიონების, მათ შორის თიანეთის რაიონის ეკონომიური ჩამორჩენილობის დასაძლევად.

* * *

შედგა პარტიის თიანეთის ახლად არჩეული რაიონული კომიტეტის პლენუმი. რაიკომის პირველ მდივნად არჩეულია დ. გონჯილაშვილი, მეორე მდივნად — ნ. მგელიაშვილი, მდივნად მტს-ის ზონაში — დ. ლომჯარია.

**გაზეთ „ახალი თიანეთი" რედაქცია — „კომუნისტის" კოლექტიური კორესპონდენტი.**

### გაზეთების ფურცლებზე

## სტუმრად ახალგაზრდა მებაღეთა შეკრებაზე

სექტემბრის ბოლო რიცხვებში გაიმართა ტამბოვის ოლქის ახალგაზრდა მებაღეთა მეოთხე საოლქო შეკრება. ჩვენი ქვეყნის სხვა მოკავშირე რესპუბლიკების, აგრეთვე სახალხო დემოკრატიის ქვეყნების ახალგაზრდა მებაღეებთან ერთად შეკრებაზე სტუმრად იყო საქართველოს ახალგაზრდა მებაღეთა დელეგაცია ოთხი კაცის შემადგენლობით. რაიონულმა გაზეთმა **„ტყიბულის მაღაროელმა"** მოათავსა ჩვენი რესპუბლიკის ახალგაზრდა მებაღეების დელეგაციის ერთ-ერთი წევრის, ტყიბულის რაიონის სოფელ სოჩხეთის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობის აგროტექნიკოსის ს. ნორაკიძის წერილი „რა ვნახეთ ქალაქ მიჩურინსკში", რომელშიც საინტერესოდ მოთხრობილია იქ მიღებულ შთაბეჭდილებებზე.

ტამბოვის ოლქის ახალგაზრდა მებაღეთა მეოთხე საოლქო შეკრება გაიმართა ქ. მიჩურინსკში, სადაც ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ბუნების დიდი გარდამქმნელი ი. ვ. მიჩურინი. მოხსენებით ოლქის ახალგაზრდა მებაღეთა მუშაობის შესახებ შეკრებაზე გამოვიდა პარტიის საოლქო კომიტეტის მდივანი ვ. სოკოლოვი. — დიდი ინტერესით მოვისმინეთ, — წერს ს. ნორაკიძე, — მიჩურინის უახლოესი მოწაფის ა. ნ. ბახარევის საუბარი, თუ როგორ ხდება მცენარეებზე ელექტროდენით ზეგავლენა მკაცრ კლიმატურ პირობებთან მათი შეგუების მიზნით.

შეკრებაზე მოსმენილ იქნა აგრეთვე მოხსენება და საუბრები საქართველოს, კერძოდ ტყიბულის რაიონის მებაღეობის განვითარების საკითხებზე. სტუმრებმა დაათვალიერეს მიჩურინის მიერ დაარსებული მეხილეობის საკვლევ-საცდელი ინსტიტუტი, რომელიც ბუნების დიდი გარდამქმნელის სახელს ატარებს. აქ მათ ნახეს მრავალი ყინვაგამძლე და უხვმოსავლიანი ხეხილი. ისინი იყვნენ აგრეთვე მეხილეობა-მებოსტნეობის ტექნიკუმში, კოლმეურნე მებაღეების სკოლაში, ბავშვთა სასოფლო-სამეურნეო სკოლაში და სხვ.

მიჩურინსკელებმა გამოცდილებისას საქართველოს ახალგაზრდა მებაღეთა დელეგაციას აღუთქვეს, რომ სტუმრად ჩამოვლენ საქართველოში, სადაც ინახულებენ აგრეთვე ტყიბულის რაიონის სოფელ სოჩხეთის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობის ბაღ-ვენახებს.

# მკითხველთა წერილები

## პროტეზების ხარისხი უნდა გაუმჯობესდეს

თბილისის საპროტეზო ორთოპედიული ქარხანა უმთავრესად დიდი სამამულო ომის ინვალიდებს უწევს მომსახურებას. უნდა ითქვას, რომ ამ ქარხნის კოლექტივი ცუდად არ მუშაობს, ოპერატიულ, კარგ მომსახურებას უწევს მათ. მაგრამ სასაყვედურო ის არის, რომ ზოგჯერ პროტეზების ხარისხი ისეთი არ არის, როგორიც სასურველია.

მაგალითად, სოფლად მცხოვრები ინვალიდებისათვის, რომლებსაც სიარული უხდებათ უტრანსპორტოდ ტალახში, ცუდ გზებზე, საჭიროა უფრო მაღალი გამძლეობის პროტეზი, ვიდრე ქალაქებში მცხოვრებთათვის. საჭიროა სოფლად მცხოვრები ინვალიდებისათვის განკუთვნილი ფეხის პროტეზისთვის შეარჩიონ მაღალი ხარისხის მასალა.

ა. კობახიძე.

## არღვევენ პროფკავშირული დემოკრატიის პრინციპებს

ამჟამად რესპუბლიკის საწარმოებში, მშენებლობებზე, მტს-ებში, საბჭოთა მეურნეობებსა და საწარმო-დაწესებულებებში მიმდინარეობს პროფკავშირული ორგანიზაციების საანგარიშო-საარჩევნო კრებები. ამ კრებების კარგად მოწყობასთან ერთად (მაგალითად, ტყვარჩელქვანახშირის ტრესტის მესამე შახტის მესამე უბანზე, იმავე ტრესტის ცენტრალურ გამამდიდრებელ ფაბრიკაში, თბილისის მარმარილოს დამმუშავებელ ქარხანაში და ა. შ.) გვაქვს პროფკავშირული დემოკრატიის პრინციპების დარღვევის მრავალი შემთხვევა, რაც იმით აიხსნება, რომ ზემდგომი პროფკავშირული ორგანიზაციები ამ მნიშვნელოვან კამპანიას სუსტად ხელმძღვანელობენ.

კასპის სატყეო-სამრეწველო მეურნეობაში საანგარიშო-საარჩევნო კრებას პროფკავშირის წევრთა ერთ მესამედზე ნაკლები დაესწრო, მაგრამ კრება მაინც უფლებამოსილად მიიჩნიეს.

ბათუმის ნავსადგურში მოწვეულ კრებაზე პროფკავშირულ კონფერენციაზე გასაგზავნი დელეგატები (20 კაცი) ღია კენჭისყრით აირჩიეს, რაც დაუშვებელია.

ა. გალასანოვი,
საქართველოს პროფსაბჭოს ინსტრუქტორი.

## მივიწყებული უბანი ტყვარჩელში

ტყვარჩელქვანახშირის ტრესტის მეხუთე შახტი ქალაქის ცენტრს საგრძნობი მანძილით არის დაშორებული. ამ საშახტო უბნის მცხოვრებლებს ძალიან უჭირთ ყოველდღე ქალაქის ცენტრში მისვლა პროდუქტებისა თუ სხვა ყოველდღიურად საჭირო მოხმარების საქონლის შესაძენად. ადგილობრივ კი მხოლოდ ერთი სასადილო და საპროდუქტო კიოსკია გახსნილი. ვერც სასადილო და ვერც კიოსკი უბნის მოსახლეობის მოთხოვნილებას ვერ აკმაყოფილებს.

არც სამედიცინო მომსახურების საქმეა მოწესრიგებული, ცუდად მუშაობს ფოსტა, რომელსაც ერთი დამტარებელი ჰყავს და ვერ აუდის საფოსტო გზავნილებათა ჩამოტარებას.

როდემდის გაგრძელდება ასე, არავინ უწყის. ყოველ შემთხვევაში ტყვარჩელქვანახშირის მეხუთე შახტის კოლექტივი ღირსია იმისა, რომ მისი საცხოვრებელი უბანი ასე მივიწყებული არ იყოს.

ლ. სალარიძიშვილი,
კ. ინოზილსკი.

# ხეხილის ბაღებს ცუდად უვლიან

მეხილეობას გარეუბნის რაიონში თვალსაჩინო ადგილი უჭირავს, ზოგიერთ კოლმეურნეობაში იგი შემოსავლის მთავარ წყაროს წარმოადგენს. მიუხედავად ამისა, უკანასკნელ პერიოდში ბევრგან კოლმეურნეობებში ხილის დაბალ მოსავალს იღებენ. ამის მიზეზი უმთავრესად ის არის, რომ ხეხილის ბაღებს ცუდად უვლიან.

ხეხილის მოვლა-პატრონობაში დაუდევრობას იჩენენ სოფელ ლილოს სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში. აქ ბაღის მოვლა შეასუსტეს, და მოსავალიც შემცირდა.

როდესაც სამეურნეო წელი იწყებოდა, სოფელ ლილოს კოლმეურნეობის წევრებმა ვალდებულება იკისრეს 19 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოეყვანათ 37 ცენტნერი ხილი. მაგრამ ნაკისრი ვალდებულებები დაივიწყეს და შედეგიც სავალალოა — ჰექტარზე მიიღეს მხოლოდ 5,9 ცენტნერი ხილი.

სამარცხვინო მდგომარეობაშია მევენახეობაც. 11,9 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მიიღეს მხოლოდ 1,19 ცენტნერი ყურძენი. ვალდებულებით კი 30 ცენტნერი უნდა მიეღოთ.

კოლმეურნეობამ წელს მევენახეობა-მებაღეობიდან მიიღო მხოლოდ 7 ათასი მანეთი შემოსავალი ნაცვლად დაგეგმილი 66.840 მანეთისა.

მევენახეობა-მებაღეობა აქ საყოველთაო სიყვარულით არ სარგებლობს. კოლმეურნეობას (თავმჯდომარე კ. გიორგაძე) შარშან გეგმით 8 ჰექტარი ხეხილის ბაღი უნდა გაეშენებინა, მაგრამ ეს დავალება არ შესრულა. მიუხედავად ამისა, კოლმეურნეობის ცუდ მუშაობაზე არავის უმსჯელია და არც პასუხი მოუთხოვიათ. ამით გათამამებულმა კოლმეურნეობის გამგეობამ და პარტიულმა ორგანიზაციამ წელსაც დაივიწყეს ხეხილის გაშენების სამუშაოები. გეგმით ხეხილის ბაღებში სიმეჩხრის ლიკვიდაციის მიზნით უნდა დაერგოთ 300 ძირი მცენარე. ფაქტიურად ამ სამუშაოს ჯერაც არ შედგომიან.

სუსტია სასოფლო საბჭოს აღმასკომის დახმარება კოლმეურნეობისადმი. ლილოს მშრომელთა დეპუტატების სასოფლო საბჭოში მხოლოდ ერთი კოლმეურნეობა შედის. კოლმეურნეობის კანტორისა და სასოფლო საბჭოს აღმასკომის სამუშაო ოთახები ერთ შენობაშია. მიუხედავად ამისა, სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე გ. ყარყარაშვილი მოწყვეტილია საკოლმეურნეო საქმიანობას. სასოფლო საბჭოს აღმასკომს სესიაზე ან აღმასკომის სხდომაზე წელს ერთხელაც არ უმსჯელია ბაღების დამუშავებაში არსებულ ნაკლოვანებათა გამოსწორებისათვის.

იქ, სადაც მზრუნველობით მოუარეს ხეხილის ბაღებს, შედეგიც კარგია. მაგალითად, სოფელ გლდანის მალენკოვის სახელობის კოლმეურნეობაში 64,7 ჰექტარი ხეხილის ბაღი აქვთ. აქ მოჰყავთ ვაშლი, ატამი, ჭერამი. წელს გლდანელ კოლმეურნეთა პირობა იყო ჰექტარზე მოეყვანათ 26 ცენტნერი ხილი, ფაქტიურად მიიღეს 29,5 ცენტნერი.

განსაკუთრებით აღსანიშნავია კოლმეურნეობის წარმატება ხენდროს მოსავლიანობის გადიდებაში. ეს კულტურა აქ 3 ჰექტარზეა გაშენებული, აქედან სრულმოსავლიანია 1,5 ჰექტარი. ამ საქმეში შერჩეული ჰყავთ გამოცდილი კოლმეურნეები, რომლებიც საუკეთესოდ უვლიან ხენდროს. მაგალითად, მერგოლეურმა მ. ონანაშვილმა ერთ ჰექტარ ფართობზე მიიღო 30,2 ცენტნერი ხენდრო ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 25 ცენტნერისა. ასევე კარგად მუშაობს მერგოლეური დ. კბილაშვილი.

კარგად უვლიან ვაზს. 24 ჰექტარი ფართობი ისე დაამუშავეს, რომ ყოველ ჰექტარზე მიიღეს 77,5 ცენტნერი ყურძენი. გეგმა კი 60 ცენტნერს ითვალისწინებდა. მარტო მეხილეობა-მევენახეობიდან კოლმეურნეობამ წელს 1.300.000 მანეთი შემოსავალი მიიღო.

გლდანელ კოლმეურნეებს მეტი შესაძლებლობა აქვთ, — განაცხადეს კოლმეურნეობის თავმჯდომარემ გ. აბუაშვილმა და პარტორგანიზაციის მდივანმა აგრონომმა ვ. როინიშვილმა, — ჩვენი მიზანია 15 ჰექტარზე მარტო ხენდრო გავაშენოთ. ამას ხელს უშლის უწყლობა. სამ წელზე მეტია, რაც საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სამინისტროს დავალებული აქვს გლდან-ავჭალის არხზე, რომელიც 2 კილომეტრით არის დაშორებული კოლმეურნეობას, მოაწყოს წყალსაქაჩავი. ეს საშუალებას მოგვცემს 100 ჰექტარი ვენახიც გავაშენოთ.

საერთოდ გარეუბნის რაიონში სოფელ გლდანის მალენკოვის სახელობის კოლმეურნეობის გამოცდილების პოპულარიზაციას არ ახდენენ. ხენდროს მოყვანა შეიძლება აგრეთვე დიღმის, ლილოს, ავჭალის, მარტყოფის და სხვა კოლმეურნეობებში, მაგრამ ამით არც რაიონის ხელმძღვანელობა დაინტერესებულა და არც კოლმეურნეობათა გამგეობები.

რაიონში ნაკლებ ყურადღებას აქცევენ ხეხილის ახალი ნარგავების გაშენებას. შარშან ეს სამუშაო ჩაშალეს, გააშენეს მხოლოდ 32,6 ჰექტარი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 80 ჰექტარისა. ამ მხრივ წელსაც არ არის კარგი მდგომარეობა. ხეხილის ახალი ნარგავები გაშენდა 26 ჰექტარზე, გეგმა კი 37 ჰექტარს ითვალისწინებდა. ცუდი მდგომარეობაა აგრეთვე ბაღებში მეჩხერი ადგილების შევსების საქმეში. წელს რაიონში გათვალისწინებულია ხეხილის ბაღებში სიმეჩხრის ლიკვიდაციის მიზნით დაირგოს 8.932 ძირი მცენარე. სინამდვილეში ეს სამუშაო სანახევროდაც არ არის შესრულებული. ბევრგან ნიადაგიც არა აქვთ მზად.

მოყვანილი ფაქტები დამაფიქრებელია. პარტიის გარეუბნის რაიკომი და რაისაბჭოს აღმასკომი მეხილეობის განვითარებაში სიტყვიდან საქმეზე უნდა გადავიდნენ, უნდა აღმოფხვრან მეხილეობისადმი დაუდევარი დამოკიდებულება.

შ. ჟოჟუა.

# ჩინელი პრაქტიკანტები გაემგზავრნენ თბილისიდან



ჩინელი პრაქტიკანტების ჯგუფი, რომელიც კიროვის სახელობის ჩარხმშენებელ ქარხანაში იმყოფებოდნენ, 20 დეკემბერს წავიდნენ თბილისიდან. შეუმჩნევლად გაიარა თითქმის ხუთმა თვემ. კიროველთა ზრუნვა, რომ ჩინელ მეგობრებს წარმატებით გაევლოთ პრაქტიკა, ღრმად დაუფლებოდნენ მოწინავე გამოცდილებას, მეტი შინაარსითა და სიხარულით აღავსებდა მათს საქმიანობას. შემთხვევითი არ იყო, რომ მათი გამოთხოვებისადმი მიძღვნილ საზეიმო საღამოზე, რომელიც ქარხნის კლუბში გაიმართა, ჩინელი პრაქტიკანტები თბილისელებს ეუბნებოდნენ: ჩვენ აქ, თქვენს საწარმოში ისე ვგრძნობდით თავს, როგორც შინ, როგორც მშობლიურ ოჯახში.

სულ შვიდი ჩინელი გადიოდა პრაქტიკას, ორი ინჟინერ-ტექნიკური მუშაკია, ხუთი — მუშა. შანხაელი ცუ ზუნ-სიანი, ხარბინელი ტინ ჯენ-ჯუნი, მუკდენელი მაო სუე-ლი, ხან დია-სანი და ჩინ ლენ-დი, ჩან შელი პენ ძაი-ცუ და ვან ჯაო-იუნ—დალნიდან. ყველანი ჩინეთის ახალი ჩარხმშენებელი ქარხნების ახალგაზრდა მუშაკები არიან. მათი ნათელი სახეები, მოციმციმე თვალები მეტყველებენ, რომ ესენი ახალი ჩინეთის დიადი ცხოვრების შემოქმედი ადამიანები არიან. სიამაყით მოგვითხრობს ხარატი მაო სუე-ლი, რომ მუკდენში ლითონსაჭრელ ჩარხებს უშვებენ. იგი თავის ცოლთან ერთად მუშაობს მუკდენის პირველ ჩარხმშენებელ ქარხანაში. ცოლიც ხარატია. მათი ქარხანა რეკონსტრუირებულია და ახლა იმავე ჩარხებს უშვებს, რასაც თბილისისა. მუკდენში აიგო აგრეთვე მეორე ქარხანა. იქ უკვე სხვა საბჭოთა კონსტრუქციის მანქანებს ამზადებენ.

დიდგაბარიტიან, რამდენიმეტონიან ჩარხებს გამოუშვებს უხანის მძიმე ჩარხმშენებლობის ქარხანა. უდაბურ ადგილზე ერთ წელიწადში აშენდა ეს მსხვილი საწარმო. მასში უკვე ახლა მუშაობს სამჯერ მეტი მუშა, ვიდრე კიროვის სახელობის ქარხანაში. სწორედ ამ ქარხანაში მუშაობისათვის იმაღლებდა კვალიფიკაციას ჩვენთან წარმოების შვიდი ჩინელი მუშაკი.

სიტყვამ მოიტანა და აქვე ვიტყვით, რომ უხანის ახალი საწარმოს მშენებლობას ადგილზე დახმარებას უწევს საბჭოთა სპეციალისტი, კიროვის სახელობის ქარხნის ერთ-ერთი წამყვანი მუშაკი, ინჟინერი ა. ზერიშვილი.

განვლილ პერიოდში ჩინელი მეგობრები კარგად შეეჩვივნენ ქარხანას. კიროველები ყოველდღიურად ხვდებოდნენ მათ, — ჩარხებთან, სასადილოში, კლუბში, ბიბლიოთეკაში, სასპორტო მოედნებზე. ჩვენი საზღვარგარეთელი მეგობრების ცხოვრება ისე მიდიოდა, როგორც ქარხნის მთელი კოლექტივისა.

დღის პირველ ნახევარს პრაქტიკანტები ჩარხებთან ატარებდნენ, მეორე ნახევარს კი რუსული ენის შესწავლას ანდომებდნენ. ძირითად ცოდნას, პრაქტიკულ ჩვევებს საამქროებში იძენდნენ.

პრაქტიკანტები უარს არ ამბობდნენ არავითარ შავ სამუშაოზე, არ გაურბოდნენ სიძნელეებს, პირიქით, სიამოვნებით ასრულებდნენ ყოველ დავალებას, [illegible] იუნს, რომ[illegible] რობისათვის ამზადებენ, [illegible] მისცეს [illegible] წეობის ან საამქროს უფროსის მოვალეობის შესრულებით დაეწყო, მან უარი განაცხადა და ითხოვა ჯერ ჩარხთან დაეყენებინათ.

ქარხნის მუშები ფ. სარიევი, ვ. სტოროჟენკო, ლ. დიმჩენკო, ვ. სტეპკინი და სხვები გულდასმით ასწავლიდნენ ჩინელ მეგობრებს თავიანთი მუშაობის საუკეთესო მეთოდებს. აღსანიშნავია, რომ მეიარაღეებსა და მათ ორ ჩინელ შეგირდს შორის დამყარებულ მეგობრობას მიეძღვნა საამქროს კედლის გაზეთის ერთ-ერთი სპეციალური ნომერი. ჩინელი მეგობრებისა და მათი მასწავლებლების წერილებს ნომრიდან ნომერში ბეჭდავდნენ აგრეთვე საქარხნო კედლის გაზეთები.

მექანიკური დამუშავების სხვა სახეებთან შედარებით გალესვითი სამუშაოები უფრო ზუსტია. სწორედ მლესავობა აირჩია თავის პროფესიად ჩინ ლენ-დიმ.

— არასოდეს არ შემიმჩნევია, — გვითხრა მლესავმა ა. პროშჩევმა, — რომ ლინ დენ-დინი ჩარხთან ისე მდგარიყოს, როგორც უცხო დამკვირვებელი. იგი ყოველთვის პოულობდა თავისთვის სამუშაოს, ყურადღებით სწავლობდა, ყველაფერში მეხმარებოდა.

კარუსელურ ჩარხზე მუშაობას ხან დია-ცანი პეტრე კოლოსისაგან სწავლობდა. საამქროში ორი ასეთი ჩარხია — დიდი და პატარა. ხანი პატარაზე მუშაობდა. მას „ზედმა“ გაუღიმა, შეგირდობის გარდა, მასწავლებლობაც მოუწია. საქმე ის არის, რომ ხანის საამქროში ყოფნის დროს მოსწავლედ მოვიდა ერთი ჭაბუკი, გვარად ვლასოვი. და აი ამ ჭაბუკს ჩარხზე მუშაობას აჩვევდა არა მარტო კოლოსი, არამედ ხან დია-ცანიც.

თავის ამხანაგებთან შედარებით უპირატესობა ჰქონდა მაო სუე-ლის. იგი უკვე ხარატობის ცხრა წლის სტაჟს ითვლიდა, მაგრამ საქმის ისეთი ოსტატისაგან, როგორც ჩქაროსანი ხარატი ილია ტენიშჩევია, ბევრი რამის სწავლა შეეძლო და ისწავლა კიდეც. ისინი პირველი დღეებიდანვე დიდი მეგობრები გახდნენ.

მრავალი მეგობარი გაუჩნდათ ჩინელ პრაქტიკანტებს შინაც, მეზობლებს შორის, საერთო საცხოვრებელში. საღამოობით ხვდებოდნენ ხოლმე ერთმანეთს, თამაშობდნენ ჭადრაკს, დადიოდნენ კინოში, კვირაობით კი ექსკურსიებზე მიემგზავრებოდნენ, ეცნობოდნენ თბილისსა და მის ღირსშესანიშნავ ადგილებს, თეატრებში ესწრებოდნენ სპექტაკლებს, სტადიონზე — სასპორტო შეჯიბრებებს.

ჩინელები განსაკუთრებით მადლობელი დარჩნენ კიროველებისა იმისთვისაც, რომ ერთ-ერთ მყუდრო, კარგად მორთულ ოთახში რადიომიმღებები დაუდგეს. ისინი საღამოობით მშობლიურ ენაზე ისმენდნენ გადმოცემებს ჩინეთიდან.

ყველაფრისათვის—უანგარო სწავლებისა და წლობით შეძენილი გამოცდილების გაზიარებისათვის, საუკეთესო საყოფაცხოვრებო პირობების შექმნისა და მეგობრული დამოკიდებულებისათვის — გულწრფელ მადლობას უხდიდნენ პრაქტიკანტები კიროველებს ქარხანაში გამართულ გამოსათხოვარ საღამოზე.

გუშინ ჩინელი მეგობრები გამოგვემშვიდობნენ. ისინი გაემგზავრნენ სხვადასხვა ქალაქის ჩარხმშენებელ საწარმოებში, სადაც ნახევარ წელს კიდევ განაგრძობენ საწარმოო პრაქტიკას. ორი ლენინგრადში მიდის, ორი— ნოვოსიბირსკში, სამი — კოლომნაში. იქ ისინი შეხვდებიან სხვა ჩინელ მუშაკებს, რომლებიც საწარმოო პრაქტიკას საბჭოთა კავშირში გადიან.

გზა მშვიდობისა, ძვირფასო ჩინელო მეგობრებო!

დ. ზრეინი,
კიროვის სახელობის ქარხნის ინჟინერი.

სურათზე: ხან დია-ცანი (მარცხნიდან) ცუ ზუნ-სიანი, ვან ჯაო-იუნი, ტინ ჯენ-ჯუნი, ჩინ ლენ-დი, მაო სუე-ლი და პენ ძაი-ციუ. ფოტო ვ. გინზბურგისა.

## მოწინავე ხორცკომბინატი

ბორჯომი. (საკ. კორ.). ბორჯომის ხორცკომბინატის კოლექტივი წელს კარგად მუშაობს. მესამე კვარტალში მოპოვებული მაღალი მაჩვენებლებისათვის კომბინატის კოლექტივმა მიიღო რესპუბლიკური გარდამავალი დროშა და სსრ კავშირის ხორცისა და რძის პროდუქტების მრეწველობის სამინისტროს მადლობა.

კომბინატის კოლექტივი წარმატებით მუშაობს მეოთხე კვარტალშიც.

## 7,5 მილიონი მანეთი წელთა ნამსახურობისათვის

ჭიათურა. (საკ. კორ.). მაღაროელები ყოველწლიურად მილიონობით მანეთს იღებენ წელთა ნამსახურობისათვის. უკვე დაიწყო მაღაროელებისათვის ამ ფულის გაცემა. წელს ნამსახურობისათვის ჭიათურაში გაიცემა 7,5 მილიონი მანეთი. ცნობილმა მაღაროელებმა ტ. ფოფხაძემ, კ. ლავთაძემ, გ. თოდაძემ, კ. ნადირაძემ, პ. მიროტაძემ, ტ. ჭილლაძემ და სხვებმა 3.500-4.000 მანეთი მიიღეს თვითეულმა.

მაღაროელებს თავიანთი დანაზოგი შემნახველ სალაროში შეაქვთ.

## გამოუქვეყნებელი წერილების კვალდაკვალ

რედაქციაში გამოგზავნილ წერილში სოფლკორი ო. ფარჩუკაშვილი წერდა, რომ დუშეთის რაიონის სოფელ ოძისში უყურადღებოდ არის მიტოვებული სახლი, სადაც დაიბადა ცნობილი დრამატურგი გ. ერისთავი. წერილი შესამოწმებლად და სათანადო ზომების მისაღებად გადაეგზავნა საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს.

როგორც რედაქციას სწერს კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმეთა სამმართველო 1957 წლის გეგმით სამინისტრომ გაითვალისწინა სოფელ ოძისში გახსნას გ. ერისთავის სახლი-მუზეუმი.

# ენგურის ქაღალდ-ცელულოზის კომბინატში

თავბოლოდაჭრილ, კანგაცლილ სოჭის მსხვილ მორებს აქ დაახლოებით ხუთი ჰექტარი ფართობი უკავია. ეტყობა შორი გზა გამოუვლიათ, დაბრკოლებებთან შეჯახება და ჭიდილი ჰქონიათ, მოსულან და რიგში დგანან, დგანან და ელიან... და როცა ამ თეთრი მორებით დაფარულ სივრცეს გაჰყურებთ, გგონიათ, რომ სადღაც ახლოს მძლავრი სახერხი ქარხანაა, რომელიც ამ მორებისაგან ძვირფას საშენ მასალას აწვდის სამშობლოს. მაგრამ არა, უხეში მორებისაგან აქ სულ სხვა მასალა, უაღრესად ფაქიზი „საშენი მასალა“ მზადდება, მასალა, რომელზეც ადამიანს გადააქვს თავისი ნააზრევი და ნაფიქრალი, გონებრივი შრომის ნაყოფი, მეცნიერებისა და ტექნიკის მონაპოვარი, ერის კულტურა, ხალხის სიბრძნე, გადააქვს და მომავალ თაობებს საუკუნეების შემდეგაც შეუძლიათ ისარგებლონ ამ „საშენი მასალით“. ეს არის ქაღალდი.

საინტერესოა ახლოს გაეცნოთ ამ მასალის დაბადების პროცესს.

— ქაღალდის მისაღებად, — გვიხსნის კომბინატის მთავარი ინჟინერი ი. კუხალაშვილი, — ძირითადად სოჭის მერქანს ვიყენებთ. ხის მასალას საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სამინისტრო გვაწვდის სვანეთის ტყეებიდან.

ჩვენს ყურადღებას იპყრობს პატარა აუზი, რომელიც სავსეა მორებით. აქ ხდება მათი გარეცხვა-გასუფთავება და გაქერქვა. გასუფთავებული მორი გადააქვთ სახერხ მანქანასთან, აცლიან დაქექილ თავ-ბოლოს და ხერხავენ დაახლოებით ერთმეტრიან მორებად. დახერხილი მორები საპობი მექანიზმით ნაწილდება, შემდეგ ხდება მათი დანაფოტება, ნაფოტი ხარისხდება და გადადის სახარშავ ქვაბში. 10-12 საათის ხარშვის შემდეგ ვიღებთ ცელულოზას, რომელიც მექანიზებული წესით ირეცხება, იწმინდება, ქიმიური ხსნარით თეთრდება და მიდის ქაღალდის დამამუშავებელ მანქანებზე.

უცქერით, თუ როგორ იბადება უხეში ხის მერქნისაგან სუფთა და ფაქიზი საწერი ქაღალდი, როგორ შრება, იჭრება, უთოვდება და ხარისხდება სხვადასხვა ზომის ქაღალდი, როგორ მზადდება რვეულები, ბლოკნოტები, კონვერტები და ა. შ. ეცნობით ქაღალდის შემქმნელ ადამიანთა კეთილშობილ შრომას და სულიერ კმაყოფილებას გრძნობთ.

კომბინატის კოლექტივი რამდენიმე ათასი კაცისაგან შედგება. მათ შორის არიან ქართველები, რუსები, უკრაინელები, ბელორუსები, აზერბაიჯანელები, სომხები, მოლდაველები, ბულგარელები, რუმინელები, ფინელები, კორეელები, სულ 21 სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლები.

ენგურის ქაღალდ-ცელულოზის კომბინატი საკავშირო მნიშვნელობის სამრეწველო საწარმოა, რომელიც ერთადერთია არა მარტო ჩვენს რესპუბლიკაში, არამედ მთელ ამიერკავკასიაშიც. იგი ათი სახის პროდუქციას აწვდის ამიერკავკასიის რესპუბლიკებს, უკრაინის სს რესპუბლიკას, კრასნოდარისა და სტავროპოლის მხარეებს, როსტოვის, მოლოტოვის და სხვა ოლქებს.

კომბინატის კოლექტივმა ნოემბერში გეგმის გადამეტებით გამოუშვა მრავალი ტონა ქაღალდი და ცელულოზა. ფართო მოხმარების საამქრომ კი (უფროსი კ. დარასელია) საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმა ნოემბერში 103,3 პროცენტით შეასრულა.

ქაღალდის გამოშვების 11 თვის გეგმა შესრულებულია 103,2 პროცენტით, ცელულოზისა — 101,7 პროცენტით, საერთო პროდუქციის გამოშვებისა — 102,7 პროცენტით.

ჩვენ გავეცანით კომბინატის მოწინავე ადამიანებს. აი ქაღალდმკეთებელი მანქანის მეძსელე კომუნისტი სიმონ გზიკაძე. იგი აქ საწარმოს დაარსების დღიდან მუშაობს, დაეუფლა რთულ საქმეს და ახლა კომბინატის სიამაყეა. სიმონი მეექვსე წელია ქაღალდის საამქროს ბრიგადას ხელმძღვანელობს. მასთან 22 კაცი მუშაობს. ბრიგადამ ნოემბრის გეგმა 118 პროცენტით შეასრულა. გეგმის გადამეტებით გამოუშვა 38 ტონა ქაღალდი.

შეკითხვაზე, თუ რას აკეთებს ბრიგადა პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისა და ეკონომიის მიღწევისათვის, ბრიგადირმა გვიპასუხა:

— გეგმით 33-35 პროცენტამდე გამშრალ ქაღალდს უნდა ვაწვდიდეთ საშრობ განყოფილებას, ფაქტიურად ვაძლევთ 36-38 პროცენტამდე გამომშრალს, რითაც ვაღწევთ ორთქლის ხარჯვის ეკონომიას და პროდუქციის თვითღირებულების შემცირებას.

— როგორია თქვენი შრომითი წარმატება? — ვეკითხებით რვეულების საამქროს ოსტატს პრასკოვია კონოვალენკოს.

რვეულების გამოშვების გეგმა ნოემბერში 100,6 პროცენტით შევასრულეთ. ამ პროდუქციაზე თუ მეტი მოთხოვნილება იქნება და დირექცია ხელს შეგვიწყობს, შეგვიძლია მნიშვნელოვნად მეტი რაოდენობით გამოვუშვათ რვეულები.

მოწინავე ადამიანთა შორის დაგვისახელეს დინარა ტორუა. მან 1954 წელს მიიღო საშუალო განათლება გალის რაიონში. საშუალო სკოლიდან კომბინატში მოვიდა და მუშაობა დაიწყო რვეულების საამქროში მემანქანის თანაშემწედ. ახლა დინარა თვეში 900 მანეთს იღებს და თან ემზადება სწავლის გასაგრძელებლად.

კომბინატში ფართოდ არის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრება. შეჯიბრების შედეგების შემოწმება ყოველთვიურად ხდება. ოქტომბრის მაჩვენებლების მიხედვით კომბინატის გარდამავალი წითელი დროშა და ფულადი ჯილდო გადაეცა ქაღალდის ფაბრიკას. უკვე მეორე წელია, რაც ამ კომბინატის კოლექტივი ჩაბმულია სოციალისტურ შეჯიბრებაში სუხონის (ვოლოგდის ოლქი) ქაღალდ-ცელულოზის კომბინატის კოლექტივთან. მაგრამ ეს შეჯიბრება ფორმალურ ხასიათს ატარებს. არ ხდება ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების ფაქტიური შემოწმება და გამოცდილების ურთიერთგაზიარება.

წელს თებერვლიდან მერქნის ხარჯვის შემცირების მიზნით კომბინატი იყენებს მაკულატურას. ათი თვის განმავლობაში მაკულატურის გამოყენებით დაზოგილ იქნა 12.000 კუბმეტრი საბალანსო მერქანი. აქედან ცხადია, თუ რა დიდი მნიშვნელობა ენიჭება მაკულატურის მეტი რაოდენობით გამოყენებას.

კომბინატის მშრომელთა დარაზმვის საქმეში ხელმძღვანელ როლს კომუნისტები ასრულებენ (პარტბიუროს მდივანი ა. მეუნარგია).

პარტიული ორგანიზაცია გულისხმიერ დამოკიდებულებას იჩენს კომუნისტების წინადადებებისადმი. კომუნისტმა ჭ. ჭკადუამ შემოიტანა წინადადება — გადამჭრელი ზომები მიეღოთ ბოჭკოს დანაკარგების შემცირებისათვის. ეს საკითხი მიმდინარე წლის იანვარში განიხილა კომბინატის პარტბიურომ, რომელმაც მიიღო სათანადო გადაწყვეტილება. პარტბიუროს გადაწყვეტილება განხილულ იქნა ცელულოზის ქარხნისა და ქაღალდის ფაბრიკის საამქროების პარტიული ორგანიზაციების გაერთიანებულ კრებაზე. დირექციამ მხარი დაუჭირა პარტიული ორგანიზაციის გადაწყვეტილებას, მოაწყო ბოჭკოს დამჭერი დანადგარები, განხორციელდა საორგანიზაციო-ტექნიკური ღონისძიებანი, რითაც ბოჭკოს დანაკარგები შარშანდელთან შედარებით ერთიორად შემცირდა.

ბოჭკოს დანაკარგების შემცირებით, ნახშირისა და ელექტროენერგიის, აგრეთვე მერქნის ეკონომიით კომბინატმა მიმდინარე წლის თერთმეტ თვეში 1 მილიონ 61 ათასი მანეთით შეამცირა პროდუქციის თვითღირებულება.

პერსპექტიული გეგმით განზრახულია ცელულოზის ხარშვის შედეგად მიღებული გამოუყენებელი ნარჩენების ბაზაზე მოეწყოს ტექნიკური სპირტისა და საქონლის საკვების წარმოება. ამისათვის საჭირო დანადგარების გამართვა 1957 წელს დაიწყება და ხუთწლედის ბოლოს მიღწეულ იქნება დღეღამეში 3-4 ტონა ტექნიკური სპირტისა და 1 ტონა საქონლის საკვების გამოშვება.

კომბინატის შეუფერხებელი მუშაობისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ქვანახშირის, ხის მერქნის, მაკულატურის დროულად მიწოდებას. ამ მხრივ რესპუბლიკის სათანადო ორგანიზაციებმა ქმედითი დახმარება უნდა გაუწიონ კომბინატს.

— მივცეთ სამშობლოს მეტი მაღალხარისხოვანი ქაღალდი! — ასეთია კომბინატის კოლექტივის საბრძოლო ამოცანა.

გ. ნოდია,
ა. ჩაჩლეიშვილი,
„კომუნისტის“ სპეც. კორესპონდენტები.

# იქ, სადაც მკურნალობენ თვალს

— განა შესაძლებელია კვლავ დამიბრუნდეს მხედველობა? მე ხომ სრულებით ვერ ვხედავ ვერაფერს, — ასე მიმართავდა გაგრის რაიონის სოფელ განთიადის კოლმეურნეობის წევრი მარიამ გოლეთიანი სოხუმის პირველი საავადმყოფოს თვალის განყოფილების მუშაკებს. მაგრამ ექიმ ს. მიმინოშვილის მიერ ოსტატურად გაკეთებულმა ოპერაციამ გააქარწყლა ავადმყოფის ეჭვები, მ. გოლეთიანს მხედველობა დაუბრუნდა.

სოხუმის პირველი საავადმყოფოს თვალის განყოფილების შემოქმედებითი კოლექტივის მუშაობის პრაქტიკაში ასეთი შემთხვევები ერთეული როდია.

— როცა ამხანაგებმა გაიგეს, რომ მარჯვენა თვალში მხედველობა დამაკლდა, — განაცხადა ტყვარჩელელმა მეშახტემ პეტრე ბესპალოვმა,— მირჩიეს სოხუმში წავსულიყავი სამკურნალოდ. მართლაც, ქალაქის პირველი საავადმყოფოს თვალის განყოფილებაში ხანმოკლე მკურნალობის შედეგად თვალს დაკარგული ფუნქციები დაუბრუნდა.

კიდევ უფრო საინტერესო და საყურადღებოა ავადმყოფ ა. უ-ნის მაგალითი. იგი 28 წლის განმავლობაში ბრმა იყო და აი 29-ე წელს ექიმის მადლიანმა მარჯვენამ შესაძლებლობა მისცა მხედველობის განმსაზღვრელ ცხრილზე ასოების პირველი მწკრივი ამოეკითხა.

წინადადებათა წიგნში ცოტა როდია მადლობის გრძნობით გამსჭვალული გულწრფელი სტრიქონები, რომლებიც განყოფილების გამგის ექიმ ს. მიმინოშვილის, ორდინატორ ი. თემიროვის, ექიმების გ. ხოხონოვას, ფ. შტეინბერგის, დ. გუგუშვილის, მ. ოდიშარიას, ა. მიხაილოვის, უფროსი სამედიცინო დის ვ. ჭანტურიას, სამედიცინო დების: ე. გულიდას, ა. კონოვალოვას, სანიტარ ტ. ცატურიანის და სხვათა თავდადებულ და უანგარო მუშაობაზე მეტყველებენ.

ექიმი ს. მიმინოშვილი ძალასა და ენერგიას არ ზოგავს, რათა ის გამოცდილება, რომელიც პროფესორ ვ. ფილატოვთან მუშაობის დროს აქვს მიღებული, თავის კოლეგებს გაუზიაროს.

ამ შემოქმედებითი კოლექტივის წარმატების საფუძველია სახელგანთქმული ექიმისა და მეცნიერის ვ. ფილატოვის მეთოდების საფუძვლიანი შესწავლა და პრაქტიკაში დანერგვა.

სოხუმის პირველი საავადმყოფოს თვალის განყოფილების კოლექტივი მუდამ ახლის ძიებაშია, არ კმაყოფილდება მიღწეული წარმატებებით და იბრძვის ადამიანთა ჯანმრთელობის დაცვის საქმეში ახალ გამარჯვებათა მოსაპოვებლად.

ი. გოგეჩია,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

# ჩეხოსლოვაკიის ეროვნული კრების სესია

პრაღა, 19 დეკემბერი. (საკდესი). დღეს აქ გაიხსნა ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის ეროვნული კრების მე-15 სესია.

სესიაზე განიხილეს კანონების პროექტები პროკურატურის, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესახებ, აგრეთვე საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია სასამართლოწყობილების კანონისა და სისხლის სამართლის კოდექსის დამატებებსა და ცვლილებებთან.

მოხსენებათა გამო კამათში გამოვიდნენ იუსტიციის მინისტრი დეპუტატი ვ. შკოდა, რესპუბლიკის გენერალური პროკურორი დეპუტატი ი. ბარტუშკა, დეპუტატი ი. კროფტა და სხვ.

სესიამ დაამტკიცა ეროვნული კრების განსახილველად შეტანილი კანონპროექტები, რომელთა მიზანია მოქალაქეთა უფლებებისა და ინტერესების დაცვა, სოციალისტური კანონიერების განმტკიცება და სასამართლოების აღმზრდელობითი როლის გაძლიერება.

# მდგომარეობა უნგრეთში

ბუდაპეშტი, 19 დეკემბერი. (საკდესი). ბუდაპეშტში დღითიდღე უმჯობესდება საზოგადოებრივი ტრანსპორტის მუშაობა. ამჟამად ხაზებზე გამოდის 1.200-მდე ტრამვაის ვაგონი, ესე იგი იმ ვაგონების რიცხვის დაახლოებით 80 პროცენტი, რომლებიც ქალაქში შეიარაღებულ ამბოხებამდე მუშაობდა. ქალაქის 34 ხაზზე მუშაობს 900-ზე მეტი ავტობუსი. მთლიანად მოწესრიგდა საგარეუბნო რკინიგზის ტრანსპორტის მუშაობა, რასაც მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან ბევრი მუშა ბუდაპეშტის გარეუბნებში ცხოვრობს. ყველა საგარეუბნო ხაზზე რკინიგზის მატარებლები შეუფერხებლად, განრიგის მიხედვით დადიან.

დიდი სიძნელეებით, მაგრამ მტკიცედ ხდება წარმოების აღდგენა სამრეწველო საწარმოებში, მათ შორის ქვანახშირისა და მეტალურგიულ მრეწველობაში. დიდი შეგნებულობისა და პატრიოტიზმის მაგალითს უჩვენებენ ჩეპელის მეტალურგიული კომბინატის მუშები, რომლის ბევრი ქარხანა დღითიდღე ზრდის მზა პროდუქციის გამოშვებას.

იზრდება ქვანახშირის ამოღება. ორ ცვლად დაიწყეს მუშაობა ტატაბანის ქვანახშირის ტრესტის შახტებმა. აქ ქვანახშირის ამოღებაზე უკვე მუშაობს 4 ათასზე მეტი მეშახტე.

იუწყებიან, რომ დღეიდან განახლდა რეგულარული საჰაერო მიმოსვლა ტრასებზე, რომლებიც ბუდაპეშტს აკავშირებენ უცხო ქვეყნების დედაქალაქებთან და უდიდეს ქალაქებთან.

# ღირსშესანიშნავი თარიღი ვიეტნამელი ხალხის ბრძოლის ისტორიაში

ხანოი, 19 დეკემბერი. (საკდესი). დღეს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკა აღნიშნავს წინააღმდეგობის დაწყების 10 წლისთავს. ამ [illegible]

[illegible] მთლიანი მოსავალი 1956 წელს 60 პროცენტით გადიდდა 1954 წელთან შედარებით.

# სიგემიცუს განცხადება

ნიუ-იორკი, 19 დეკემბერი. (საკდესი). პრეს-კონფერენციაზე, რომელიც გუშინ გაიმართა, იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრმა განაცხადა, რომ აზიაში ჯერ კიდევ არ არის გადაჭრილი მშვიდობის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული მთელი რიგი პრობლემები. ასეთი პრობლემები, მისი აზრით, არის ტაივანის საკითხი, კორეისა და ვიეტნამის გაერთიანების საკითხი.

სიგემიცუმ აღნიშნა, რომ ამ პრობლემების გადაჭრისას საჭიროა გათვალისწინებულ იქნას არსებული მდგომარეობა და აზიის მთელი რაიონის ინტერესები. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ მთელ მსოფლიოში მშვიდობის დაცვისა და განმტკიცების ინტერესებისათვის საჭიროა აღმოიფხვრას საერთაშორისო ვაჭრობაში არსებული ბარიერები. იაპონიის ასეთი პოზიცია არ გამორიცხავს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასაც, აღნიშნა მინისტრმა.

კითხვაზე, მიაჩნია თუ არა მას, რომ აღმოსავლეთ აზიაში მოხდებოდა ვითარების მნიშვნელოვანი ნორმალიზაცია, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა რომ წარმოდგენილი იყოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში, სიგემიცუმ განაცხადა, რომ იაპონია მხარს უჭერს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უნივერსალობას და რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საკითხი განხილულ უნდა იქნას.

# ამერიკის შეერთებული შტატების კომუნისტური პარტიის დევნა

ნიუ-იორკი, 19 დეკემბერი. (საკდესი). ეგრეთწოდებულმა „ძირგამომთხრელი საქმიანობისადმი კონტროლის სამმართველომ“, რომლის ამოცანას შეადგენს ამერიკის შეერთებული შტატების პროგრესული ორგანიზაციების დევნა, გამოსცა ახალი დადგენილება, რომელიც მოითხოვს ამერიკის შეერთებული შტატების კომუნისტური პარტიის რეგისტრაციას მაკარენის კანონის შესაბამისად. პირველი ასეთი დადგენილება გამოიცა 1953 წელს, მაგრამ კომუნისტურმა პარტიამ გააპროტესტა იგი უმაღლეს სასამართლოში. 1956 წლის აპრილში უმაღლესმა სასამართლომ საზოგადოებრიობის ზეგავლენით გამოაცხადა, რომ აღნიშნული სამმართველოს დადგენილება ემყარებოდა დაქირავებული ჯაშუშების მატუსოუს, კრაუჩისა და სხვების საეჭვო ჩვენებებს, და მოითხოვა, რომ სამმართველოს გადაესინჯა ეს საქმე. მაგრამ სამმართველომ გამოსცა ახალი დადგენილება, მიმართული კომუნისტური პარტიის წინააღმდეგ.

მაკარენის კანონით კომპარტიამ რეგისტრაციაში უნდა გაატაროს ყველა თავისი წევრი, წარუდგინოს ხელისუფლებს ფინანსური ანგარიშები და სხვა ცნობები. რეგისტრაციაზე უარის თქმისათვის კომუნისტებს საპატიმროში ჩასვამენ 5 წლამდე ვადით და დააჯარიმებენ 10 ათასი დოლარით.

# გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XI სესია

ნიუ-იორკი, 19 დეკემბერი. (საკდესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის გუშინდელ დღის პლენარულ სხდომაზე გრძელდებოდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების შეცვლის საკითხის განხილვა ლათინური ამერიკის ქვეყნებისა და ესპანეთის იმ წინადადებასთან დაკავშირებით, რომ გაფართოვდეს უშიშროების საბჭოსა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სხვა მთავარი ორგანოების შემადგენლობა.

ალბანეთის, უკრაინის სსრ და რუმინეთის წარმომადგენლებმა თავიანთ გამოსვლებში ხაზგასმით აღნიშნეს, რომ საჭიროა დაცულ იქნას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდება და, უწინარეს ყოვლისა, აღმოიფხვრას წესდების ყველაზე აღმაშფოთებელი დარღვევა — აღდგენილ იქნას ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის უფლებები გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში.

ალბანეთის წარმომადგენელმა შტიულამ აღნიშნა, რომ ძნელია ლაპარაკი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების შეცვლაზე, როდესაც მთელი რიგი ქვეყნები დაჟინებით არღვევენ მის ძირითად დებულებებს. მაგალითად, ამერიკის შეერთებული შტატები და ზოგიერთი სხვა ქვეყანა უარს ამბობენ დათანხმდნენ მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მიღებაზე გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებისა და ლონდონის შეთანხმების დარღვევაა ფილიპინების არჩევა უშიშროების საბჭოში იმ ადგილზე, რომელიც აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს ეკუთვნით. ბოლოს, თქვა ალბანეთის წარმომადგენელმა, როგორ შეიძლება გვერდი ავუაროთ იმ ფაქტს, რომ ამერიკის შეერთებული შტატები და ზოგიერთი სხვა ქვეყანა უარს ამბობენ ცნონ დიდი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კანონიერი უფლებები? არის მხოლოდ ერთი ჩინეთი—ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა, და იგი წარმოდგენილი უნდა იყოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში.

უკრაინის სსრ წარმომადგენელმა ლ. თ. პალამარჩუკმა განაცხადა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა და მისი ორგანოების ეფექტიანობის უზრუნველყოფა დამოკიდებულია არა წესდების ამა თუ იმ დებულების გადასინჯვაზე, არამედ იმაზე, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ყველა წევრმა დაიცვას წესდება. ამასთან დაკავშირებით უკრაინის დელეგატი შეეხო უშიშროების საბჭოში ადგილების სამართლიანი გეოგრაფიული განაწილების პრინციპის უხეშ დარღვევას, რაც დაშვებულია აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების მიმართ.

ლ. თ. პალამარჩუკმა თქვა, რომ ახალი წევრების მიღებასთან დაკავშირებით გაერთიანებული ერების ორგანიზაციას აქვს შესაძლებლობა უფრო ეფექტიანად იმოქმედოს, რა თქმა უნდა, იმ პირობით, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ყველა წევრი იმოქმედებს წესდების პრინციპების სრული შესაბამისობით, ნამდვილი საერთაშორისო თანამშრომლობის ინტერესებისათვის. თუ გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ შეძლო დაეძლია დისკრიმინაციის [illegible]

[illegible] ნეთის სახალხო რესპუბლიკას მიეცემა მისი კანონიერი ადგილი გაერთიანებული ერების ორგანიზაციასა და უშიშროების საბჭოში და თუ აღდგენილ იქნება უშიშროების საბჭოში სამართლიანი გეოგრაფიული წარმომადგენლობის პრინციპი. რადგან ლათინური ამერიკის ქვეყნებისა და ესპანეთის რეზოლუციის პროექტი არ იძლევა გარანტიებს ამ მხრივ, რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგაცია ხმას მისცემს ამ პროექტის წინააღმდეგ.

იუგოსლავიის დელეგატმა ნინჩიჩმა განაცხადა, რომ, თუმცა მისი დელეგაცია პრინციპულად მხარს უჭერს უშიშროების საბჭოს შემადგენლობის გაფართოებას, მას მიაჩნია, რომ ეს საკითხი მოითხოვს უფრო გულდასმით და ყურადღებით განხილვას. მან გამოთქვა აზრი, რომ არ არის საჭირო აჩქარება წესდების შეცვლისა და უშიშროების საბჭოს შემადგენლობის გაფართოების საკითხის გადაჭრაში.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების შეცვლის შესახებ რეზოლუციის პროექტს მხარი დაუჭირეს თავიანთ გამოსვლებში ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის, ავსტრალიისა და კანადის წარმომადგენლებმა.

დღის სხდომის ბოლოს სიტყვა აიღო საფრანგეთის წარმომადგენელმა ვალერი დ'ესტენგმა, რომელმაც ეგვიპტის მთავრობას ბრალად დასდო, რომ იგი ეწევა „ეგვიპტეში მცხოვრებ ფრანგ მოქალაქეთა გაძევებისა და მათი ქონების კონფისკაციის“ „სისტემატურ კამპანიას“. იმ ქვეყნის წარმომადგენლისაგან, რომელიც ვერაგულად დაესხა თავს ეგვიპტეს, მეტად უცნაური იყო სიტყვები, რომლებიც ეგვიპტის მთავრობას ბრალს სდებდნენ, რომ იგი „არღვევს“ საერთაშორისო სამართლის ძირითად პრინციპებს და წინააღმდეგობას უწევს ეგვიპტის საკითხზე გენერალური ასამბლეის რეზოლუციების განხორციელებას. საფრანგეთის დელეგატი მოუწოდებდა დამსწრეთ „დაგმონ“ ეგვიპტის მოქმედება.

შემდეგ გამოვიდა ინგლისის წარმომადგენელი დიქსონი, რომელმაც ილაპარაკა ინგლისელ მოქალაქეთა „დევნაზე“ ეგვიპტეში და ისეთივე მოთხოვნები წამოაყენა, როგორც მისმა ფრანგმა კოლეგამ.

აგრესორი ქვეყნების წარმომადგენლებს საკადრისი პასუხი გასცეს ეგვიპტის, სუდანის, სირიისა და ერაყის დელეგატებმა. მე მინდა მოგაგონოთ, თქვა ეგვიპტის წარმომადგენელმა ლუთფიმ, რომ სწორედ ინგლისმა და საფრანგეთმა თვითონ დაიწყეს თავიანთი მოქალაქეების ევაკუაცია, ცდილობდნენ რა დაებრკოლებინათ სუეცის არხის მუშაობა. მაგრამ დღეს, როდესაც ინგლის-საფრანგეთის აგრესია ეგვიპტის წინააღმდეგ ჩაიფუშა, საფრანგეთი და ინგლისი ცდილობენ მიაღწიონ პოლიტიკურ მოგებას, ამტკიცებენ რა, რომ ეგვიპტის მთავრობა „არღვევს“ საერთაშორისო სამართალს და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებას. ეს მტკიცება სრულიად უსაფუძვლოა. არც ერთი ფრანგი მოქალაქე არ ყოფილა ინტერნირებული, არც ერთ მათგანს არ განუცდია დევნა.

ეგვიპტის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ეგვიპტის მთავრობა ახორციელებდა თავის კანონიერ სუვერენულ უფლებებს, როდესაც სეკვესტრი დაადო აგრესორი ქვეყნების მოქალაქეთა ქონებას. ეგვიპტის დელეგატმა მოაგონა ინგლისისა და საფრანგეთის წარმომადგენლებს მათი ქვეყნების მთავრობების მიერ ეგვიპტის ფონდების ცალმხრივი ბლოკირება ჯერ კიდევ ამა წლის ივლისში, როდესაც ამ ქვეყნებისა და ეგვიპტის ურთიერთობა უფრო ნორმალური იყო. როგორც ჩანს, თქვა დასასრულ ეგვიპტის წარმომადგენელმა, საფრანგეთისა და ინგლისის [illegible]

დაინახა რა, რომ საფრანგეთისა და ინგლისის წარმომადგენლების მიერ აღძრული საკითხის განხილვამ ინტერვენტების საწინააღმდეგო მიმართულება მიიღო, ამერიკის შეერთებული შტატების დელეგატი უოდსვორტი მიეშველა მათ. მან შეიტანა წინადადება დამთავრდეს დისკუსია ამ სხდომაზე, აშკარად უნდოდა რა მისი შეკვეცა. მაგრამ ეს ცდა უშედეგოდ დამთავრდა. გადაწყდა ამ საკითხის განხილვა გადაიდოს მეორე დღისათვის, მას შემდეგ, რაც განხილულ იქნება საკითხი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების შეცვლის შესახებ უშიშროების საბჭოს არამუდმივ წევრთა რიცხვის გადიდების მიზნით.

# ბატისტას დიქტატორული რეჟიმის დანაშაულობანი კუბაზე

ნიუ-იორკი, 19 დეკემბერი. (საკდესი). ახალგაზრდობის ჯგუფმა, რომელიც კუბიდან გამოიქცა, რათა თავი დაეღწია ხელისუფალთა დევნისათვის, საბჭოთა პრესაში გაგზავნა წერილი, რომელშიც ამხილებს დიქტატორ ბატისტას მიერ კუბაზე ჩადენილ დანაშაულობებს.

ბატისტას დიქტატურამ, ნათქვამია წერილში, საშინელ კოშმარად აქცია კუბელი ხალხის ცხოვრება. სახელმწიფოში გაბატონებულია ჩვენს ისტორიაში უმაგალითო პოლიტიკური ტერორი. ათასზე მეტი ახალგაზრდა კუბელი დაიღუპა კუბის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში. მათ სიცოცხლე შესწირეს ბრძოლას იმისათვის, რომ ჩვენი სამშობლო გახდეს ისეთი, როგორიც უნდოდათ ეხილათ იგი ეროვნულ გმირებს ხოსე მარტის, ანტონიო მასეოსა და სხვებს, რომლებიც მრავალი წლის მანძილზე იბრძოდნენ კუბის დამოუკიდებლობისათვის.

ამჟამად ახალგაზრდა კუბელთა ჯგუფი ფიდელ კასტროს მეთაურობით იბრძვის ამერიკის იმპერიალიზმის მიერ თავით ფეხებამდე შეიარაღებული კუბის არმიის წინააღმდეგ. ამერიკის შეერთებული შტატებისაგან მიღებული თვითმფრინავებიდან აჯანყებულებს უშენენ ნაპალმის ბომბებს. პოლიცია ცეცხლს უშენს ადგილებს, სადაც აჯანყებულნი იმყოფებიან. ქალებს, ბავშვებს, მოხუცებს ხვრეტენ იმისათვის, რომ ისინი უარს ამბობენ აჩვენონ, სად იმალებიან პარტიზანები... და ყოველივე ეს ხდება იმ დროს, როდესაც კუბის წარმომადგენელი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ნუნიეს-პორტუონდო, ამერიკელ შაქრის მექარხნეთა და კუბის რეაქციის მარიონეტი, დაუსრულებლივ ლაყბობს დემოკრატიის „დაცვაზე“, დემოკრატიისა, რომელიც არ არსებობს ჩვენს ქვეყანაში, სადაც მძვინვარებს ცენზურა, სადაც ჟურნალისტებს სჯიან იმისათვის, რომ ისინი სიმართლეს ამბობენ, სადაც დაუსჯელად ხოცავენ ოპოზიციის წარმომადგენლებს...

დადგა დრო, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ ამხილოს ისეთი თავხედები, როგორიც არიან პორტუონდო და ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის სხვა მარიონეტები, რათა ისინი თავხედურად არ ერეოდნენ სხვა ქვეყნების საქმეებში, რომლებიც იბრძვიან თავისუფლებისათვის, იმპერიალიზმის წინააღმდეგ.

წერილი ამხილებს ამერიკის პრესის ორპირობას, რომელიც თავის ფურცლებს ავსებს ყალბი ინფორმაციით უნგრეთის ამბების შესახებ და დუმილით უვლის გვერდს მასობრივ მკვლელობას, წამებასა და დაპატიმრებებს კუბაზე და ლათინური ამერიკის სხვა ქვეყნებში. „მიუხედავად იმისა, — წერენ ახალგაზრდა კუბელი პატრიოტები, — რომ ჩვენ ვაცნობეთ ამერიკის პრესას ეს საშინელი დანაშაულობანი, მან არაფერი თქვა ამაზე, რათა კვამლის ფარდით დაფაროს ამერიკის იმპერიალიზმის მსხვერპლნი“.

წერილი მთავრდება მოწოდებით „სოციალისტური პრესისა და ყველასადმი, ვინც ესწრაფვის მშვიდობას, თავისუფლებასა და დემოკრატიას“, ხმა აღიმაღლონ იმისათვის, რომ შეწყდეს უოლ-სტრიტის აგენტების დანაშაულობანი ლათინური ამერიკის ქვეყნებში.

# ვენაში ჩავიდა ამერიკის შეერთებული შტატების ვიცე-პრეზიდენტი ნიქსონი

ვენა, 19 დეკემბერი. (საკდესი). დღეს ამერიკის შეერთებული შტატებიდან თვითმფრინავით აქ ჩამოვიდა ამერიკის შეერთებული შტატების ვიცე-პრეზიდენტი რიჩარდ ნიქსონი. როგორც ოფიციალურად იუწყებოდნენ, მისი ვიზიტის მიზანია „შეისწავლოს უნგრელ ლტოლვილთა პრობლემა“. მაგრამ აქ ყურადღებას აქცევენ იმას, რომ „ლტოლვილთა პრობლემა“ მხოლოდ ნიღბავს ნიქსონის ჩამოსვლის იმ ნამდვილ მიზანს, რომ სცადოს კვლავ გააქტიუროს ძალები, რომლებმაც უნგრეთში კონტრრევოლუციური ამბოხება გამოიწვიეს.

# ინდოეთის პრემიერ-მინისტრის ნერუს გამოსვლა ამერიკის რადიოთი და ტელევიზიით

ვაშინგტონი, 19 დეკემბერი. (საკდესი). ამერიკის შეერთებულ შტატებში ოფიციალური ვიზიტით მყოფმა ინდოეთის პრემიერ-მინისტრმა ნერუმ გუშინ რადიოთი და ტელევიზიით წარმოთქვა სიტყვა, რომელშიც, უმთავრესად, ილაპარაკა ინდოეთის პროგრესზე მის მიერ დამოუკიდებლობის მიღების შემდეგ.

შეეხო რა საერთაშორისო ურთიერთობას, ნერუმ აღნიშნა, რომ ომის საფრთხე „ჯერ არ გამქრალა, მაგრამ მშვიდობის ძალები ძლიერი არიან“.

ნერუმ რწმენა გამოთქვა, რომ მშვიდობა „გაიმარჯვებს“, იმიტომ, რომ როგორც მან თქვა, „მშვიდობა და თავისუფლება განუყოფელი გახდნენ და დედამიწაზე არ შეიძლება დიდხანს არსებობდეს ისეთი მდგომარეობა, როცა იგი ნაწილობრივ თავისუფალი, ხოლო ნაწილობრივ დამონებული იქნება“. ნერუმ აღნიშნა, რომ რამდენადაც საქმე ეხება ინდოეთს, „მშვიდობის შენარჩუნება ინდოეთის პოლიტიკის მთავარი მიზანია“. მან დასძინა, რომ „ინდოეთის მონაწილეობის მიუღებლობა რაიმე სამხედრო ან მის ანალოგიურ პაქტებსა და კავშირებში“ არ ნიშნავს პასივობას და „იმისდამი დამორჩილებას, რაც ბოროტებად მიგვაჩნია“. განაცხადა რა, რომ, ინდოეთის აზრით, თვითეულ ქვეყანას „აქვს თავისუფლების უფლება“ და „თავისი საკუთარი პოლიტიკისა და ცხოვრების წესის გამორკვევის უფლება“, ნერუმ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ინდოეთს სწამს თავდაუსხმელობა და „ერთი ქვეყნის ჩაურევლობა მეორის საქმეებში“ და „უნარი მშვიდობიანი თანაარსებობისა“.

ამიტომ, თქვა ნერუმ, ინდოეთი „ისწრაფვის მეგობრული ურთიერთობა შეინარჩუნოს ყველა ქვეყანასთან, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ჩვენ შესაძლოა, არ ვეთანხმებით მათს პოლიტიკას ან მართვის სისტემას“. ნერუმ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ასეთი მიდგომით „სამსახურს გავუწევთ არა მარტო ჩვენს ქვეყანას, არამედ მშვიდობისა და მთელი მსოფლიოს კარგი ურთიერთობის დიდ საქმეს“.

ნერუმ აღნიშნა, რომ „დიდი სარგებლობა მიიღო“ პრეზიდენტ ეიზენჰაუერთან მოლაპარაკებიდან.

# ლისინმანელთა პროვოკაციული გამოსვლები

ფხენიანი, 19 დეკემბერი. (საკდესი). კორეის ცენტრალურ დეპეშათა სააგენტო იმოწმებს სეულის რადიოს ცნობას და გადმოგვცემს, რომ დღეს სამხრეთ კორეის ეროვნული კრების სხდომაზე დეპუტატთა ჯგუფმა საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარის იუნ სენ სუმის მეთაურობით შეიტანა პროვოკაციული წინადადება, რომლითაც ურჩევს მთავრობას გააუქმოს შეთანხმება კორეაში დაზავების შესახებ.

ამ წინადადების შეტანისას იუნ სენ სუმმა ცინიკურად განაცხადა, რომ შეთანხმება დაზავების შესახებ არის „ქაღალდის უბრალო ნაგლეჯი და რომ სულაც არ არის საჭირო მისი დაცვა“.

# ამერიკის შეერთებული შტატები აიარაღებენ დასავლეთ გერმანიას

ნიუ-იორკი, 19 დეკემბერი. (საკდესი). როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტო იუწყება, ამერიკის სამხედრო-სამრეწველო კონცერნმა „ჯენერალ დაინამიკსმა“ თავისი კანადის ფილიალის „კანადერის“ მეშვეობით დადო შეთანხმება დასავლეთ გერმანიისათვის 225 რეაქტიული ავიაგამანადგურებლის მიყიდვის შესახებ. როგორც მოელიან, თვითმფრინავების მიწოდება დაიწყება 1957 წლის ოქტომბერში.

# საქართველოს რადიოს ფონოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა



რადიოთი ხშირად წარმოებს კონცერტების, სპექტაკლების, ლიტერატურული ნაწარმოებების და სხვ. გადაცემა არა მარტო საბჭოთა კავშირის ცნობილი მომღერლებისა და მუსიკოსების, არამედ აგრეთვე უცხო ქვეყნების მსახიობების შესრულებით. მაგრამ თუ, მაგალითად, თბილისის ხელოვნების ოსტატთა მოსმენა შეიძლება უშუალოდ საკონცერტო ან ოპერის დარბაზებიდან, ყოველთვის ვერ ხერხდება კონცერტების გადაცემა სხვადასხვა ქვეყნებიდან ან უშუალოდ იმ დღეს, როცა კონცერტი მიმდინარეობს. ამიტომ გადაცემა ხდება მაგნიტოფირზე ჩანაწერების საშუალებით.

ყოველდღე, როცა რადიოგადაცემათა რედაქციაში ხდება შემდეგი დღის გადაცემათა პროგრამის შედგენა, მიმართავენ მუსიკალურ ნაწარმოებთა ფონოთეკას. აქ მაღალ მინიან კარადებში, მუყაოს ფუტლარებში მოთავსებულია მაგნიტოფირები, რომლებზეც ჩაწერილია სპექტაკლები, მუსიკალური და ლიტერატურული ნაწარმოებები. კარადის ყველა თაროს თავისი ნომერი აქვს, რაც აადვილებს საჭირო ნაწარმოების მონახვას. ყოველ ფირს ტრანსლაციის მომზადების წინ ამოწმებენ ფონოთეკაში მოთავსებულ მაგნიტოფონზე.

მოსკოვიდან, საკავშირო რადიოს ხმისჩამწერი სახლიდან აქ რეგულარულად იღებენ მაგნიტოფონის ფირზე ჩაწერილ ოპერებს, სიმფონიებს, კამერულ ნაწარმოებებს, სიმღერებს, სპექტაკლებს, რომელთა ტრანსლაცია ხდება რესპუბლიკის რადიომსმენელთათვის.

წელს ფონოთეკამ მოსკოვიდან მიიღო ჩაიკოვსკის, რიმსკი-კორსაკოვის, მუსორგსკის და სხვა რუს კომპოზიტორთა ბევრი ნაწარმოები, აგრეთვე საზღვარგარეთის ქვეყნების კლასიკოსთა ნაწარმოებები საუკეთესო ძალების შესრულებით. სულ დღემდე ფონოთეკაში ინახება მარტო მოსკოვის ხმისჩამწერი სახლის მიერ ჩაწერილი 7.000-ზე მეტი სახელწოდების მუსიკალური და ლიტერატურული ნაწარმოები.

ძირითადად კი ფონოთეკა მდიდრდება საქართველოს რადიოს ჩანაწერების მიხედვით. ჩაწერა ხდება როგორც უშუალოდ საკონცერტო და თეატრალურ დარბაზებში, ოპერაში ან სხვა ადგილას, ისე თვით რადიოსტუდიაში. აქ იწერენ ფირზე თანამედროვე ქართველ კომპოზიტორთა ახალ ნაწარმოებებს, სიმფონიური მუსიკის კონცერტებს, თვითმოქმედი ანსამბლების სიმღერებს, მხატვრულ კითხვას, ნაწყვეტებს თეატრალური დადგმებიდან და სხვ.

ფონოთეკის მისამართით იგზავნება ფირზე ჩანაწერები მოძმე რესპუბლიკებიდან — სომხეთიდან, აზერბაიჯანიდან, უკრაინიდან და სხვ. სულ საქართველოს რადიოს ფონოთეკაში ამჟამად ინახება მაგნიტოფონის 11.000 სახელწოდების ჩანაწერები.

სურათზე: საქართველოს რადიოს ფონოთეკაში. მუსიკალურ გადაცემათა რედაქციის მუშაკი გ. არაყიშვილი ტრანსლაციისათვის ამოწმებს მაგნიტოფონის ფირს.

ფოტო შ. გოქაძისა.

# სპორტულ ღონისძიებათა კალენდარი

დამტკიცებულია საქართველოს 1957 წლის სპორტულ ღონისძიებათა კალენდარი. ამ ღონისძიებებში მთავარი ყურადღება ექცევა ფიზიკური კულტურისა და სპორტის შემდგომ აღმავლობას, მასობრიობას, ახალგაზრდა სპორტსმენთა დაოსტატებას, რეკორდებისათვის ბრძოლას.

კალენდარში მოცემული ღონისძიებები სპორტის თითქმის ყველა სახეობას მოიცავს. მოეწყობა ძირეული სასპორტო კოლექტივების რაიონული, საქალაქო, საოლქო და რესპუბლიკური ასპარეზობანი, სხვადასხვა სპარტაკიადები, ჩემპიონატები. საქართველოს სპორტსმენები მონაწილეობას მიიღებენ საკავშირო შეხვედრებში.

დიდი ადგილი აქვს დათმობილი ქაბუკთა სპორტს, სოფლად მასობრივ ფიზკულტურულ ასპარეზობებს. საქართველოს მოსწავლე სპორტსმენები მოაწყობენ რაიონულ, საქალაქო, საოლქო და რესპუბლიკურ სპარტაკიადებს, რის შემდეგ მონაწილეობას მიიღებენ მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადაში, რომელიც რიგაში გაიმართება.

ინტერესს იწვევს ამიერკავკასიის მოძმე რესპუბლიკებისა და მოლდავეთის სპარტაკიადა. ეს შეჯიბრება მოეწყობა ბაქოში. მომავალ სასპორტო სეზონში ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქში გაიმართება კალათბურთელთა, წყალბურთელთა და ჩოგბურთელთა საკავშირო ასპარეზობები.

სასამართლოს დარბაზიდან

# სახელმწიფო ქონების მითვისებისათვის

ვილიკ მოსეს-ძე ისრაელიანი მუშაობდა „თბილმრეწვვაჭრობის“ № 7 მაღაზიის კულტსაქონლის სექციის გამგედ. სარგებლობდა რა მაღაზიის დირექტორის ჭუაძელის ნდობით, მან მოკლე დროში შეძლო 123.785 მანეთის მითვისება. ბუხჰალტერ-რევიზორებმა ა. დევნოსაძემ და პ. სირბილაძემ იმის ნაცვლად, რომ ემხილებინათ სახელმწიფო ქონების მიმთვისებელი, პირიქით, ხელი შეუწყვეს ბოროტმოქმედს დანაშაულის მიჩქმალვაში.

ამით გულდამშვიდებული ისრაელიანი არხეინად განაგრძობდა სახელმწიფო ქონების ფლანგვას, მაგრამ ბოლოს ბოროტმოქმედება გამოვლინებულ იქნა.

სასამართლომ ვ. მ. ისრაელიანს მიუსაჯა 20 წლის პატიმრობა, ქონების კონფისკაცია, სასჯელის მოხდის შემდეგ ოთხი წლით საარჩევნო ხმის უფლების ჩამორთმევა და მითვისებული თანხის გადახდა, ბუხჰალტერ-რევიზორებს ა. დევნოსაძეს და პ. სირბილაძეს 3-3 წლით თავისუფლების აღკვეთა; ბუხჰალტრებს თ. ბაბეურსა და მ. ასიტოვას, რომლებიც დაუდევრად მოეკიდნენ თავიანთ მოვალეობას მაღაზიის აღწერის დროს, ორ-ორი წლით პირობითი სასჯელი შეეფარდათ.

ო. კოღუაშვილი.

რედაქტორი გ. ფირცხალავა.

## საქართველოს რადიოგადაცემათა პროგრამა 22 დეკემბრისათვის

### პირველი პროგრამით

**რადიოსადგურებით 1571 და 59,52 მეტრ ტალღებზე, აგრეთვე თბილისის საქალაქო ქსელით**

06.30 — სიმღერები სამშობლოზე, 07.40 — „პიონერთა დაფიონი“, 08.20 — ესტონური მუსიკის კონცერტი, 12.15 — საბჭოთა სიმღერები, 12.45 — ქართველ კომპოზიტორთა საფორტეპიანო ნაწარმოებები, 17.20 — რუსული კამერული მუსიკის კონცერტი, 18.15 — გადაცემა მოსწავლეთათვის — ლევ კასილის მოთხრობა „ჩემო ბიჭუნებო“ (გადაცემა პირველი), 19.20 — კონცერტი რადიომსმენელთა დაკვეთით, 20.30—სიმღერისა და ცეკვის საქართველოს სახელმწიფო ანსამბლის კონცერტი.

**რადიოსადგურით 1571 მეტრ ტალღაზე და თბილისის საქალაქო ქსელით**

21.00 — გადაცემა „მღერის ბენიამინო ჯილი“, 21.50 — ნ. ოსტროვსკის გარდაცვალების 20 წლის თავისადმი მიძღვნილი ლიტერატურული გადაცემა, 22.20—საესტრადო მუსიკის კონცერტი.

### მეორე პროგრამით

**რადიოსადგურით 59,52 მეტრ ტალღაზე**

21.00 — პროკოფიევის ბალეტის „რომეო და ჯულიეტას“ მონტაჟი, 22.00—მსუბუქი მუსიკის კონცერტი.

**რადიოსადგურით 66,08 მეტრ ტალღაზე**

11.00 — გაზეთ „სოვეტაკან ჰაიასტანის“ მიმოხილვა, 18.15 — 19.00 — გადაცემა სომხურ ენაზე, 20.30 — 21.00— გადაცემა აზერბაიჯანულ ენაზე.

## დღეს თბილისის თეატრებში

**ოპერისა და ბალეტის** — აბესალომ და ეთერი (დ. გამრეკელის მონაწილეობით), **რუსთაველის სახელობის**—ოიდიპოს მეფე, **მარჯანიშვილის სახელობის** —სამი ბულბულის ქუჩა № 17, **გრიბოედოვის სახელობის** — მარადიული სიყვარული, **სომხური დრამის** — სამველი, **მუსიკალური კომედიის** — საყვარელი დისშვილი, **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — ოჯახი (აბონემენტი № 19, 6 ს.), **მოზარდ მაყურებელთა რუსული** — ბიძია თომას ქოხი (10 ს.), **თოჯინების ქართული** — გალიაში (10 ს.), ნატვრისთვალი (2 ს.).

## კინოთეატრებში

**რუსთაველის სახელობის, ოქტომბერი, 26 კომისრის სახელობის, კომკავშირელი, კოლხიდა, კიროვის სახელობის პარკი, პლეხანოვის სახელობის კლუბი, მილიციის სამმართველოს ძერჟინსკის სახელობის საზაფხულო კლუბი** — აბეზარა, ამირანი, სპარტაკი, დიდუბე, **კოლმეურნე, ძერჟინსკის სახელობის კლუბი** — ბაში-აჩუკი, თბილისი, **ვოროშილოვის სახელობის კლუბი, კომუნარების ბაღი** — სინდისი, ისანი, **ოფიცერთა სახლი, გორკის სახელობის კულტურის სახლი** — მეტიქენი, **სარეწაო კოოპერაციის ცენტრალური კულტურის სახლი** — პური, სიყვარული და ფანტაზია.

მოქალაქე **ტაკუი ვაროსის ასულმა იგითხანოვმა**, მცხოვრებმა გოგოლის ქ. № 43, აღძრა საქმე ჯაფარიძის ქ. № 11 მცხოვრებ მოქალაქე **ანდრო ხარქისის-ძე იგითხანოვთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის სტალინის რაიონის სახალხო სასამართლო.

მეუღლე მარგარიტა, შვილები ეთერ, მერი, გივი, დები გალინა, ქსენია, ძმა ივანე, რძლები მარიამ, რაისა, სიძე დ. გორდელაძე ოჯახებით იუწყებიან

**ალფეს სოფრომის-ძე ბარამიძის**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 22-XII, 7 ს. რესპუბლიკური ცენტრალური კლინიკური საავადმყოფოს პროზექტურაში, კამოს ქ. № 47. გამოსვენება 23-XII, 3 ს. იქიდანვე.

შვილი გიორგი, ძმა ლეონტი, რძლები ვერა, მინადორა ოჯახებით იუწყებიან

**ისლამ იორდანეს-ძე წოწორიას**

გარდაცვალებას. დაკრძალვა 23-XII სოფელ ინჩხურში (ვეგეჭკორის რ.).

თბილისის მე-5 საშუალო სკოლის თანამშრომლები იუწყებიან ამავე სკოლის მასწავლებლის

**ისაკი მიხეილის-ძე ბულეიშვილის**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 21, 22-XII, 8 ს. გამოსვენება 23-XII, 2 ს. გურამიშვილის ქ. № 28.

დედა დარიკო, დები ქეთო, ევა, ვერა, ძმა იოსებ, შვილი თინა, სიძეები ს. რაზმაძე, გ. გამყრელიძე ოჯახებით იუწყებიან

**ბენო სარიდანის-ძე დევიძის**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 21, 22-XII, 8 ს. გამოსვენება 23-XII, 3 ს. ბინიდან, ლენინის ქ. № 1.

შვილები ქსენია, ნოე, სიძე კ. ბალათურია, რძალი ბ. ჯორჯიკია ოჯახებით იუწყებიან

**სოფიო ივანეს ასულ ნოდია-გაგუას**

გარდაცვალებას. გამოსვენება 23-XII, 5 ს. ქ. ცხაკაიადან, ლიბკნეხტის ქ. № 24, დაკრძალვა სოფელ ნოქალაქევში.

მეუღლე ბიკენტი, დედა ნინო, დები კლავდია, ბაბუცა, სიძეები ი. მაჩაიძე, ა. ნიკოლაიშვილი ოჯახებით და ნათესავებით იუწყებიან

**ლენა მიხეილის ასულ ქართველიშვილი-მესხიშვილის**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 21, 22-XII, 8 ს. გამოსვენება 23-XII, 2 ს. მარტყოფის ქ. № 4.

მეუღლე სონა, შვილები ნადია, შაქრო, და მარიამ, ძმები სანდრო, ილია, შალვა, ნიკო, სიძეები ვ. ლომიძე, ს. აკოფოვი ოჯახებით იუწყებიან

**გიორგი ზაქარიას-ძე ჯოჯიშვილის**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 21, 22-XII, 7 ს. გამოსვენება 23-XII, 3 ს. გოცირიძის ქ. № 29.

მეუღლე იოსებ, დები გაფრო, ვალია, აკვილინა, ნინო, ძმა არკადი ოჯახებით იუწყებიან

**ქსენია ვლადიმერის ასულ ვეფხვაძე-კალანდაძის**

გარდაცვალებას. დაკრძალვა 23-XII ბორჯომში. გამოსვენება ბინიდან ლუქსემბურგის ქ. № 43.

შვილები ტონია, ლილი, ვახტანგ ქელბაქიანები, სიძე კ. ლოლობერიძე ოჯახებით იუწყებიან

**აგრაფინა ანტონის ასულ ლორთქიფანიძე-ფიალკოვსკაიას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 21, 22-XII, 8 ს. გამოსვენება 23-XII, 2 ს. ცხაკაიას ქ. № 9.

უე 06394 პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 14.